# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა კრიზისმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად. პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება მიმართული როგორც ქვეყნის, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენის სტიმულირებას და შემდგომ მხარდაჭერას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში, ძირითადად ეს გულისხმობს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და ტურისტული ზონების ხელშეწყობას ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო მხარდაჭერის კუთხით.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას, სოცილაური და სამედიცინო პროგრამების მეშვეობით.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

# თავი I . ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

## მდებარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის გურიის მხარეში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეების ბჟუჟის, ნატანებისა და სუფსის ხეობებში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აღმოსავლეთით ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

## მმართველობის ორგანოები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის 30 ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეული - 76 განსახლების ადგილით. ესენია: 1 ქალაქი, 5 დაბა - ლაითური, ნარუჯა, ურეკი, ნასაკირალი, გომისმთა და 24 თემი - ბაილეთი, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, ვაკიჯვარი, ლიხაური, მაკვანეთი, მერია, მთისპირი, ნაგომარი, ნატანები, შემოქმედი, შრომა, ცხემლისხიდი, ძიმითი, ჭანიეთი, ჯუმათი, თხინვალი, კონჭკათი, მელექედური, სოფ. ოზურგეთი, სილაური, ასკანა.

## ფართობი და გზების სიგრძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 643,07 კმ2, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ2 ) 0,9 %-ია. ხოლო გურიის რეგიონის ტერიტორიის 22% -ს შეადგენს. ქალაქ ოზურგეთის ფართობი შეადგენს 22,11 კმ2 სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 270 კმ 2.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1407.8 კმ-ს, მ. შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 247.8 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,7კმ-ს, ბეტონის საფრიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 57კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1108,8 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგებს 63,8 კმ-ს.)

ქალაქ ოზურგეთი წარმოადგენს გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც დედაქალაქ თბილისიდან დაშორებულია 325 კმ-ით, ბათუმიდან 60 კმ-ით, ფოთიდან 45 კმ-ით, ქუთაისიდან 90 კმ-ით.

მანძილი ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ბათუმის პორტამდე 49,6 კმ-ია, ბათუმის აეროპორტამდე 57,5 კმ, ბათუმის სარკინიგზო სადგურამდე 51,5 კმ.

მანძილი ფოთის პორტამდე 49 კმ-ია, ქუთაისის აეროპორტამდე მანძილი 68,1 კმ-ია.

ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ქალაქ თბილისის აეროპორტამდე მანძილი 329 კმ-ია, თბილისის სარკინიგზო სადგურამდე 312 კმ.

მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან 20 კილომეტრის სიგრძის მანძილზე შავი ზღვა აკრავს.

## მოსახლეობის რაოდენობა

დემოგრაფიული მდგომარეობის ასახვისათვის წარმოდგენილია საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული შედეგები, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს  62 863-ს. მოსახლეობის 49,6% - მამაკაცია (31 186 კაცი) და შესაბამისად 50,4% - ქალი (31 677 ქალი). ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის 23,5 % (14 785 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო დანარჩენი 76,5% - დაბებსა და თემებში (48 078 ადამიანი).

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 6 წლამდე ასაკის 4420 ბავშვი, 6-დან 18 წლამდე 8407 მოზარდი (მათ შორის ვაჟი - 4 188, გოგონა -4219 ), პენსიონერთა რაოდენობა არის 17810. მოსახლეობის სიმჭიდროვე 96,89 კაცი/კვ.კმ.-ზე.

## სოციალურად დაუცველთა რაოდენობა

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა არის 2317, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობაა 10 413.

## მაღალმთიანი დასახლებები

ოფიციალურად მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილია დაბა გომისმთა, რომელსაც მაღალმთიანი დასახლების სტატუსი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის #447 დადგენილებით მიენიჭა (ცვლილება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #671 დადგენილებაში).

## ბიუჯეტის მოცულობა (მიმდინარე 2021 წელი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 38 496,9 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი ნაწილი მოდის მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებზე, მათ შორის აღსანიშნავია დამატებული

ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი 44,7 % (16,1 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები მოცულობა მთლიან შემოსულობებში შეადგენს 31,8 %-ს (11,5 მლნ ლარი) და იგი ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ბიუჯეტის გადასახდელები საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფიული თანხის ჩათვლით შეადგენს 38 469,9 ათას ლარს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება 6 პრიორიტეტის დაფინანსება.

## სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ, ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. ბარის ტერიტორიაზე არის საზღვაო კურორტების განვითარების პოტენციალი, ხოლო მთის ტერიტორიებზე სამთო კურორტების განვითარების შესაძლებლობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოთხი დასახლებული პუნქტი ასკანა (მზიანი), მთისპირი, ჯუმათი, შემოქმედი, გომისმთა შედის მაღალმთიან ზონაში. ტერიტორიის ნაწილი (ნატანები, შრომა, კონჭკათი, თხინვალი, მერია, მთისპირი, ძიმითი, ასკანა, ჯუმათი) მოქცეულია მეწყრულ ზონაში, სადაც მაღალია სტიქიური კატასტროფების რისკი.

საქართველოს პრეზიდენტის #669 ბრძანებულებით (საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ/1998) მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი გომის მთას (კურორტის ტიპის კლიმატური პროფილაქტიკური); 2014 წლის 18 ივნისის #407 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ „ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟპესი გომისმთის“ საავტომობილო გზას მიანიჭა შიგა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის სტატუსი შ-47; 2020 წლის 21 მაისის საქართველოს მთვრობის #825 გადაწყვეტილებით გომისმთას მიენიჭა დაბის სტატუსი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ბენტონიტური თიხა, რომლის მარაგი 10 მლნ ტონაზე მეტია. 2016 წლიდან ოზურგეთში მოქმედებს თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ბელორუსიაში, უკრაინაში, რუსეთში. საქართველოში აპატიტი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია (სოფ. ვაკიჯვარი), სადაც ქანები 7-10% აპატიტს შეიცავს. ამავე სოფლის ტერიტორიაზე არის წითელი რკინის მადანი. აქვეა აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია. კაოლინის საბადოა სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე 0.4-დან 11 მეტრამდეა. სოფ. შემოქმედსა და გომში არის სიენიტების საბადო (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა). ოქროს საბადოა სოფ. ნაგომარში, რომელიც გამოიყენება მინერალური საღებავების დასამზადებლად. ქვიშა-ხრეშის საბადოებია ოზურგეთის ტერიტორიაზე. მარაგები დამტკიცებულია როგორც ბეტონის შემავსებლის და საამშენებლო ხსნარის ნედლეული, რომელიც პასუხობს სტანდარტულ მოთხოვნებს. აღნიშნული რესურსები არ არის დათვლილი და ამდენად, უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება, მშენებლობა, დასასვენებელი და რეკრეაციული მომსახურება, ტურიზმი. თუმცა, ადგილობრივი ეკონომიკის 80%-მდე სოფლის მეურნეობაზე მოდის, კერძოდ, ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურის (ძირითადად სიმინდის) წარმოება, თხილის, თესლოვანი და კურკოვანი ხილი, კივი, ციტრუსის, ჩაის და ხურმის მოყვანა, ასევე მცირე, საოჯახო ტიპის მეცხოველეობა, მეფრინველეობა, თევზის წარმოება, მეფუტკრეობა.

მომსახურების სფეროდან გამოირჩევა სასტუმროების და ინდივიდუალური სასტუმრო სახლების (225 ერთეული) მომსახურება, მათი უმრავლესობა ურეკსა და შეკვეთილშია განთავსებული და ძირითადად ზაფხულის ტურისტულ სეზონზე არის დატვირთული.

ადგილობრივ ეკონომიკაში შემოსავლების მოცულობის წილი გასართობი ბიზნესიდან ჯერჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია, მაგრამ დინამიკაში ეს მაჩვენებელი ზრდადია, რასაც სრული დატვირთვით შეკვეთილში მოქმედი ატრაქციონების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 000 მსმენელზე დახურული საკონცერტო დარბაზის ამოქმედება განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის წარმოების ფაქტობრივი მონაცემები არცთუ ისე მაღალია, სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგი უაღრესად მნიშვნელოვანია და განვითარების შესაბამისი პოტენციალიც გააჩნია. არსებული პოტენციალის რეალიზაციის მიზნით უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2014 წელს შემუშავებულ იქნა მუნიციპალიტეტში ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აღნიშნული პროექტის წარდგენამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის შესახებ მასშტაბური პროექტის შემუშავებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს როგორც ზღვისპირეთზე, ასევე, ალპურ ზონაში. საქართველოში არსებული ოთხი სარეკრეაციო სტატუს მინიჭებული კურორტიდან ერთ-ერთი - ურეკი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლოს დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთის კურორტებია ურეკი და შეკვეთილი და სამთო კურორტი გომისმთა.

მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალებად ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ საცხენოსნო და საფეხმავლო და სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვა ისტორიულ ძეგლების და მაღალმთიანი ადგილების დასათვალიერებლად.

აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ნაციონალური სუვენირების საწარმოებლად. აღნიშნული პროდუქციის რეალიზება მოხდება სასტუმროთა ქსელში, პანსიონატებში, კურორტებზე და სავაჭრო მარკეტებში. ამ მიზნით შესაძლოა ხელი შეეწყოს შესაბამისი მომზადებისა და გადამზადების კურსების მიწოდებას. მომდევნო ეტაპი კი შესაძლოა იყოს საერთაშორისო თუ სახელმწიფო ფონდების დახმარებით მცირე ზომის საწარმოების ფორმირება-განვითარება.

2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გარკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად, 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 35,7 % შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა, რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან
2020 წლის მონაცემების მიხედვით

| დასახელება | მოსახლეობა (ათასი) | ფართობი (კვ.კმ) | საკუთარი შემოსავლები (ათასი ლარი) | გადასახდელებ ი (ათასი ლარი) | ნომინალური მშპ (ათასი ლარი) | მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი) | უმუშევრობის დონე (%) | რეგისტრირებ ული ეკონომიკური სუბიექტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ საქართველო | 3 728,6 | 69 700,0 | 10 964 400,0 | 13 743 900,0 | 49 407,3 | 13 292,7 | 18,5 | 709 729,0 |
| გურიის რეგიონი | 107,1 | 2 033,2 | | | 826,2 | 8 354,2 | 15,4 | 18 241,0 |
| ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 62,9 | 643,1 | 28 567,9 | 44 443,0 | 536,2 | 8 524,6 | 15,4 | 11 674,0 |
| % რესპუბლიკასთან მიმართებაში | 1,7 | 0,9 | 0,3 | 0,3 | 1,1 | 64,1 | - | 1,6 |
| % რეგიონთან მიმართებაში | 58,7 | 31,6 | | | 64,9 | 102,0 | - | 64,0 |

# თავი II . ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

## 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

### შემოსულობები

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2025 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისიწნებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითდი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2020-2025 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორცილებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2020–2025 წლებში

ათასი ლარი

| დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 პროექტი | 2023 პროექტი | 2024 პროექტი | 2025 პროექტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები სულ | **40 211,0** | **38 496,9** | **27 814,0** | **28 042,0** | **28 895,0** | **29 779,0** |
| შემოსავლები | **36 283,1** | **36 229,8** | **27 414,0** | **27 892,0** | **28 795,0** | **29 679,0** |
| გადასახადები | **18 084,2** | **22 079,8** | **24 503,2** | **25 958,9** | **27 727,1** | **28 729,0** |
| საშემოსავლო გადასახადი | | | | | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | **13 355,6** | **16 179,8** | **18 403,2** | **19 858,9** | **21 527,1** | **22 529,0** |
| ქონების გადასახადი | **4 728,6** | **5 900,0** | **6 100,0** | **6 100,0** | **6 200,0** | **6 200,0** |
| გრანტები | **16 201,5** | **11 509,6** | **280,0** | **250,0** | **250,0** | **250,0** |
| საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები | **287,5** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | **15 914,0** | **11 509,6** | **280,0** | **250,0** | **250,0** | **250,0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 1 800,0 | | | | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 250,0 | 250,0 | 280,0 | 250,0 | 250,0 | 250,0 |
| კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები | 13 864,0 | 11 259,6 | | | | |
| სხვა შემოსავლები | **1 997,4** | **2 640,4** | **2 630,8** | **1 683,1** | **817,9** | **700,0** |
| არაფინანსური აქტივების კლება | **126,1** | **395,0** | **400,0** | **150,0** | **100,0** | **100,0** |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) | **5 452,9** | **1 872,1** | | | | |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება) | **1 651,1** | | | | | |

### გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2020-2025 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2025 წლების ბალანსი**

ათასი ლარი

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის პროგნოზი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **36 283,1** | **36 229,8** | **27 414,0** | **27 892,0** | **28 795,0** | **29 679,0** |
| გადასახადები | 18 084,2 | 22 079,8 | 24 503,2 | 25 958,9 | 27 727,1 | 28 729,0 |
| გრანტები | 16 201,5 | 11 509,6 | 280,0 | 250,0 | 250,0 | 250,0 |
| სხვა შემოსავლები | 1 997,4 | 2 640,4 | 2 630,8 | 1 683,1 | 817,9 | 700,0 |
| **ხარჯები** | **20 969,2** | **22 475,0** | **24 089,7** | **23 847,1** | **24 480,1** | **25 183,1** |
| შრომის ანაზღაურება | 3 336,2 | 3 549,6 | 4 028,5 | 3 976,0 | 4 040,0 | 4 200,0 |
| საქონელი და მომსახურება | 2 209,6 | 2 886,1 | 3 053,1 | 2 978,0 | 3 102,0 | 3 179,0 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 74,0 | 85,8 | 95,1 | 95,1 | 105,1 | 110,1 |
| სუბსიდიები | 11 134,7 | 12 036,6 | 13 288,0 | 13 154,0 | 13 447,0 | 13 846,0 |
| გრანტები | 999,8 | 1 215,0 | 1 265,0 | 1 315,0 | 1 340,0 | 1 340,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 895,2 | 1 205,0 | 1 233,0 | 1 262,0 | 1 308,0 | 1 345,0 |
| სხვა ხარჯები | 2 319,7 | 1 496,9 | 1 127,0 | 1 067,0 | 1 138,0 | 1 163,0 |
| **საოპერაციო სალდო** | **15 313,9** | **13 754,8** | **3 324,3** | **4 044,9** | **4 314,9** | **4 495,9** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **19 000,8** | **15 512,0** | **3 209,4** | **3 930,0** | **4 200,0** | **4 381,0** |
| ზრდა | 19 126,9 | 15 907,0 | 3 609,4 | 4 080,0 | 4 300,0 | 4 481,0 |
| კლება | 126,1 | 395,0 | 400,0 | 150,0 | 100,0 | 100,0 |
| **მთლიანი სალდო** | **-3 686,9** | **-1 757,2** | **114,9** | **114,9** | **114,9** | **114,9** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-3 801,8** | **-1 872,1** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| ზრდა | 1 651,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 5 452,9 | 1 872,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 5 452,9 | 1 872,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **-114,9** | **-114,9** | **-114,9** | **-114,9** | **-114,9** | **-114,9** |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 | 114,9 |
| **ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

## 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #32 დადგენილებით დამტკიცებული იქნა 2020 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 26 211,6 ათასი ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 18 231,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 44 443,0 ათასი ლარით.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები**
**ბიუჯეტის ბალანსი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსი

ათასი ლარი

| დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2020 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **41 599,5** | **38 523,1** | **14 102,4** | **24 420,7** | **36 283,1** | **15 914,0** | **20 369,1** |
| გადასახადები | 8 884,1 | 21 482,5 | 0,0 | 21 482,5 | 18 084,2 | 0,0 | 18 084,2 |
| გრანტები | 29 595,6 | 14 400,6 | 14 102,4 | 298,2 | 16 201,5 | 15 914,0 | 287,5 |
| სხვა შემოსავლები | 3 119,8 | 2 640,0 | 0,0 | 2 640,0 | 1 997,4 | 0,0 | 1 997,4 |
| **ხარჯები** | **21 085,1** | **21 403,5** | **821,3** | **20 582,2** | **20 096,0** | **631,6** | **19 464,4** |
| შრომის ანაზღაურება | 3 520,2 | 3 549,6 | 112,2 | 3 437,4 | 3 336,1 | 105,7 | 3 230,4 |
| საქონელი და მომსახურება | 2 962,5 | 2 395,6 | 576,8 | 1 818,8 | 2 268,2 | 392,9 | 1 875,2 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 30,1 | 65,7 | 0,0 | 65,7 | 74,0 | 0,0 | 74,0 |
| სუბსიდიები | 11 879,0 | 12 630,8 | 132,3 | 12 498,5 | 12 129,2 | 127,5 | 12 001,7 |
| გრანტები | 0,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 53,9 | 0,0 | 53,9 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 887,2 | 1 189,4 | 0,0 | 1 189,4 | 895,0 | 0,0 | 895,0 |
| სხვა ხარჯები | 1 806,1 | 1 522,4 | 0,0 | 1 522,4 | 1 339,7 | 5,5 | 1 334,2 |
| **საოპერაციო სალდო** | **20 514,4** | **17 119,6** | **13 281,1** | **3 838,5** | **16 187,1** | **15 282,4** | **904,6** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **22 437,3** | **22 604,5** | **15 053,8** | **7 550,7** | **19 872,8** | **13 631,3** | **6 241,4** |
| ზრდა | 22 681,0 | 22 854,5 | 15 053,8 | 7 800,7 | 19 998,9 | 13 631,3 | 6 367,5 |
| კლება | 243,7 | 250,0 | 0,0 | 250,0 | 126,1 | 0,0 | 126,1 |
| **მთლიანი სალდო** | **-1 922,9** | **-5 484,9** | **-1 772,7** | **-3 712,3** | **-3 685,7** | **1 651,1** | **-5 336,8** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-26,7** | **-5 669,9** | **-1 772,7** | **-3 897,2** | **-3 801,8** | **1 651,1** | **-5 452,9** |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1 651,1 | 1 651,1 | 0,0 |
| კლება | 26,7 | 5 669,9 | 1 772,7 | 3 897,2 | 5 452,9 | 0,0 | 5 452,9 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 26,7 | 5 669,9 | 1 772,7 | 3 897,2 | 5 452,9 | | 5 452,9 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **0,0** | **-114,9** | **0,0** | **-114,9** | **-114,9** | **0,0** | **-114,9** |
| კლება | 0,0 | 114,9 | 0,0 | 114,9 | 114,9 | 0,0 | 114,9 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 114,9 | 0,0 | 114,9 | 114,9 | 0,0 | 114,9 |
| **ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 38 773,1 ათასი ლარი, ფაქტიურად 36 409,2 ათასი ლარით შესრულდა, რაც გეგმის 93,9 %-ია.

I. გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 18 084,2 ათასი ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 21 482,5 ათასი ლარის 84,2 %.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13 355,6 ათასი ლარი, რაც დაზუტებული წლიური გეგმის 13 992,5 ათასი ლარის 95,5%-ია.

ქონების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 4 728,6 ათასი ლარის შემოსავალი, რაც დაზუსტებული წლიური გეგმის 7 490,0 ათასი ლარის 63,1 %-ს შეადგენს. გეგმის შეუსრულებლობაზე გავლენა მოახდინა მთავრობის მიერ ქონების გადასახადის გადამხდელებისათვის შეღავათების მინიჭებამ 2020 წლის ქონების გადასახადის ნაწილში.

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1 6201,5 ათასი ლარი, მათ შორის:

ა) საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილი ტრანსფერი -1 800,0 ათასი ლარი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250,0 ათასი ლარი;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 9 397,1 ათასი ლარი;

დ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1 792,9 ათასი ლარი;

ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები - 1 600,0 ათასი ლარი;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 074,0 ათასი ლარი;

ზ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 287,5 ათასი ლარი.

## III. სხვა შემოსავლები

2020 წლის დამტკიცებული წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 2 640,0 ათასი ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 1 997,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 75,7 %-ია, მათ შორის:

**რენტის** სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 551,4 ათასი ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 600,0 ათასი ლარის 91,9 %-ია.

**ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან** მიღებულია 496,3 ათასი ლარი, რომელმაც გეგმის 520,0 ათასი ლარის 95,4 % შეადგინა, აქედან:

სანებართვო მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 286,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 150,0 ათასი ლარის 191,1 %-ია;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 0 ლარი, რაც გეგმის 120,0 ათასი ლარის 0 %-ია; (პანდემიის გამო ლიცენზიანტმა შეწყვიტა მუშაობა);

**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 209,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 250,0 ათასი ლარის 83,8 %-ია;

**არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და** მომსახურება მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 24,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 20,0 ათასი ლარი 123,1 % შეადგენს.

**შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან** მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 735,1 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 1200,0 ათასი ლარი 61,3 % შეადგენს. პანდემიის გამო ავტომობილების მოძრაობა შეზღუდული, რამაც განაპირობა მოძრაობის ნაკადის მკვეთრი შემცირება, შესაბამისად ჯარიმებიდან შემოსავლები შემცირებულია.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 190,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 300,0 ათასი ლარის 63,3 %-ია;

## IV. არაფინანსური აქტივების კლება

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 126,1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 50,4 %-ია, მათ შორის: 90,1 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან, ავტომანქანების გაყიდვიდან (პიკაპები)), ხოლო 36,0 ათასი ლარი არაწარმოებული აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 44 443,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის

საკასო შესრულებამ შეადგინა 40 211,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90,5 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 21 473,5 ათასი ლარით საკასო ხარჯი შეადგინს 20 097,2 ათას ლარს, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,59 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 22 854,2 ათასი ლარით საკასო ხარჯი შეადგინს 19 998,9 ათას ლარა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87,5 %-ია.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:**

**„შრომის ანაზღაურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 3 549,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა -3 336,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94,0 %-ს შეადგენს.

**„საქონელი და მომსახურების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 2 395,6 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2 268,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,7 %-ს შეადგენს.

**„სუბსიდიების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 12 630,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 12 129,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,0 %-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

მუნიციპალური ტრანსპორტი;

მომსახურების ცენტრის დაფინანსება;

წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა;

სკოლამდელი განათლების დაფინანსება;

სპორტული ობიექტების დაფინანსება;

კულტურის ობიექტების დაფინანსება;

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;

ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;

სოციალურად დაუცველ ბავშთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;

მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება;

ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა;

**„სოციალური უზრუნველყოფის“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 189,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 895,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75,3 %-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;

დედ-მამით ობოლი 18-წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა;

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;

ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება;

სარიტუალო დახმარება;

სოციალური ღონისძიებები;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;

სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი;

მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება;

სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება;

**„სხვა ხარჯების“** - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 1 522,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 339,7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 88 %-ს.

სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამშენებლო მასალების შესყიდვა მოსახლეობისთვის გადაცემის მიზნით, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების  მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა;

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირის უზრუნველყოფა;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება;

ბინათმშენებლობა;

## 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით



ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:




## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება

### 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მაჩვენებლები

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №19 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 25 104,0 ათასი ლარით. 2021 წლის II კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა.

შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2020 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 21361,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 85,1 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 25104,0 ათასი ლარი).

შემოსავლების დინამიკა სტაბილურია, რაც სრულ თანხვედრაშია ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ პარამეტრებთან, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას შემოსავლების ნაწილში საფრთხე არ ემუქრება.

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 55,3 %-ით (გეგმა 24854,0 ათასი ლარი, შესრულება 13736,4 ათასი ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 67,4 %-ით (წლიური გეგმა 7000,0 ათასი ლარი შესრულება 4720,5 ათასი ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 50,1 %-ით (წლიური გეგმა 14818,6 ათასი ლარი შესრულება 7417,2 ათასი ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 33,0 %-ით ( წლიური გეგმა 500,0 ათასი ლარი, შესრულება 165,0 ათასი ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 47,0 %-ით (წლიური გეგემა 100,0 ათასი ლარი, შესრულება 47,0 ათასი ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 46,0 %-ით (გეგმა 150,0 ათასი ლარი, შესრულება 69,0 ათასი ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 0 %-ით (გეგმა 120,0 ათასი ლარი, შესრულება 0,0 ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 40,4 %-ით (გეგმა 250,4 ათასი ლარი შესრულება 101,2 ათასი ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 68,6 %-ით (წლიური გეგმა 1200,0 ათასი ლარი, შესრულება 823,7 ათასი ლარი);

– არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 75,5 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 15,1 ათასი ლარი);

– შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 40,3 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათასი ლარი, შესრულება 121,0 ათასი ლარი);

– არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 64,98 %-ით (წლიური გეგმა 395,0 ათასი ლარი, შესრულება 256,7 ათასი ლარი);

2021 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 7625,4 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი – 125,0 ათასი ლარი ;

ბ) დროებითი დახმარება – 2150,0 ათასი ლარი;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 124,7 ათასი ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 5175,7 ათასი ლარი;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 50,0 ათასი ლარი;

**გადასახდელები**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 25104,0 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2021 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 18389,4 ათასი ლარი წლიური გეგმის 73,25 % -ია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ანალოგიურ პერიოდის მონაცემები ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ნაწილში ასეთია: დამტკიცდა 45 336,2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 16998,6 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 37.49 %-იყო.

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 2 454,3 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5 313,7 ათასი ლარი) 46,2 %;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 3 336,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 5 588,3 ათასი ლარი) 59,7 % ;

– დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 439,9 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 2 900,0 ათასი ლარი) 49,7 %;

- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 704,1 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4 650,0 ათასი ლარი) 58,2 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2 236,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4 856,0 ათასი ლარი) 46,1 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 791,8 ათსაი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1 796,0 ათასი ლარი) 44,1 %;

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

2020-2021 წლებში მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასვე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტირებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2022-2025 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო

ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ოზურგეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა

შეხვედრები. შემუშავდა 2022–2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **ეკონომიკა.**

## ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

ათასი ლარი

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2022 | 2023 | 2024 | 2025 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება | 334 | 6 194,0 | 5 980,0 | 6 165,0 | 6 355,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 89 | 6 260,0 | 6 755,0 | 6 960,0 | 7 176,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 306 | 2 900,0 | 2 990,0 | 3 080,0 | 3 177,0 |
| 04 00 | განათლება | 882 | 5 320,0 | 5 052,0 | 5 208,0 | 5 370,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი | 749 | 5 000,0 | 5 100,0 | 5 250,0 | 5 400,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 20 | 1 860,0 | 1 876,0 | 1 935,0 | 1 994,0 |
| 07 00 | ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება | 12 | 280,0 | 289,0 | 297,0 | 307,0 |
| სულ ჯამი | | **2 392** | **27 814,0** | **28 042,0** | **28 895,0** | **29 779,0** |

## პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

| ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ათასი ლარი | |
| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 | 2023 | 2024 | 2025 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება | 6 194,0 | 5 980,0 | 6 165,0 | 6 355,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 5 960,0 | 6 755,0 | 6 960,0 | 7 176,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2 900,0 | 2 990,0 | 3 080,0 | 3 177,0 |
| 04 00 | განათლება | 5 620,0 | 5 052,0 | 5 208,0 | 5 370,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი | 5 000,0 | 5 100,0 | 5 250,0 | 5 400,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 860,0 | 1 876,0 | 1 935,0 | 1 994,0 |
| 07 00 | ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება | 280,0 | 289,0 | 297,0 | 307,0 |
| სულ ჯამი | | **27 814,0** | **28 042,0** | **28 895,0** | **29 779,0** |

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება

ათასი ლარი

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 | 2023 | 2024 | 2025 |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება | 6 094,0 | 5 880,0 | 6 065,0 | 6 255,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 5 960,0 | 6 505,0 | 6 560,0 | 6 826,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 300,0 | 250,0 | 400,0 | 350,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2 900,0 | 2 990,0 | 3 080,0 | 3 177,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 04 00 | განათლება | 5 270,0 | 5 002,0 | 5 108,0 | 5 320,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 50,0 | 50,0 | 100,0 | 50,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი | 4 950,0 | 5 050,0 | 5 200,0 | 5 300,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 50,0 | 50,0 | 50,0 | 100,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 860,0 | 1 876,0 | 1 935,0 | 1 994,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 07 00 | ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება | 230,0 | 239,0 | 247,0 | 257,0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 50,0 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| სულ ჯამი | | **27 814,0** | **28 042,0** | **28 895,0** | **29 779,0** |
| მ.შ. ახალი ინიციატივები | | **550,0** | **500,0** | **700,0** | **650,0** |

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პროგრამები და ქვეპროგრამები[1]:

### ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, შესაბამისად აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიბების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

[1] პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით

| *პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *პრიორიტეტის დასახელება* | | *ინფრასტრუქტურის განვითარება* | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 1 860 000 | 1 500 000 | 1 540 000 | 1 576 000 |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა | 300 000 | 300 000 | 300 000 | 300 000 |
| 02 01 02 | გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია | 1 000 000 | 1 000 000 | 1 040 000 | 1 076 000 |
| 02 01 03 | საგზაო მოძრაობის ორგანიზება | 460 000 | 100 000 | 100 000 | 100 000 |
| 02 01 04 | საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 100 000 | 100 000 | 100 000 | 100 000 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 950 000 | 955 000 | 950 000 | 950 000 |
| 02 02 01 | წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია | 100 000 | 150 000 | 200 000 | 250 000 |
| 02 02 02 | წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია | 800 000 | 755 000 | 700 000 | 650 000 |
| 02 02 03 | კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია | 50 000 | 50 000 | 50 000 | 50 000 |
| 02 03 | საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება | 320 000 | 320 000 | 320 000 | 320 000 |
| 02 03 01 | სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია | 200 000 | 200 000 | 200 000 | 200 000 |
| 02 03 02 | საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია | 100 000 | 100 000 | 100 000 | 100 000 |
| 02 03 03 | კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა | 20 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| 02 04 | პროექტირება და ექსპერტიზა | 800 000 | 830 000 | 900 000 | 930 000 |
| 02 04 01 | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | 350 000 | 380 000 | 400 000 | 430 000 |
| 02 04 02 | შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა | 450 000 | 450 000 | 500 000 | 500 000 |
| 02 05 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 300 000 | 350 000 | 400 000 | 400 000 |
| 02 06 | ბინათმშენებლობა | 300 000 | 300 000 | 350 000 | 350 000 |
| 02 06 01 | მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა | 200 000 | 200 000 | 250 000 | 250 000 |
| 02 06 02 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა | 100 000 | 100 000 | 100 000 | 100 000 |
| 02 07 | გარე განათება და ელმომარაგება | 1 330 000 | 1 350 000 | 1 350 000 | 1 450 000 |
| 02 07 01 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია | 80 000 | 100 000 | 100 000 | 150 000 |
| 02 07 02 | გარე განათების და მუნიციპალური ადმინისტრაციული შენობების ელექტროენერგიის ხარჯი | 900 000 | 900 000 | 900 000 | 950 000 |
| 02 07 03 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 350 000 | 350 000 | 350 000 | 350 000 |
| 02 08 | მუნიციპალური ტრანსპორტი | 100 000 | 150 000 | 150 000 | 200 000 |
| 02 09 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 1 000 000 | 1 000 000 | 1 000 000 |
| | სულ პრიორიტეტის დაფინანსება | 5 960 000 | 6 755 000 | 6 960 000 | 7 176 000 |

## *საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 02 01*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1407.8 კმ-ს, მ. შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 247.8 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,68კმ-ს, ბეტონის საფრიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 56,97კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1108, 75 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგებს 63,8კმ-ს.) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას.

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის | მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული გზების საერთო სიგრძე ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში | 24% | 25% | 26% | 27% | 28% | გრძ.მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული ქალაქის გზების საერთო სიგრძე ქალაქში გზების საერთო სიგრძესთან მიმართებით | 85% | 87% | 89% | 90% | 92% | გრძ.მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული სასოფლო გზების საერთო სიგრძე სოფლად გზების საერთო სიგრძესთან მიმართებით | 21% | 22% | 23% | 24% | 25% | გრძ.მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | იმ ქუჩების წილი, სადაც მოწყობილია ტროტუარები მუნიციპალიტეტის ქალაქის გზების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში | 38% | 40% | 42% | 44% | 46% | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ქალაქის გზების საერთო სიგრძე, სადაც ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა | 45% | 47% | 49% | 51% | 55% | გრძ. მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## გზების მოვლა-შენახვა 02 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ გზების მოვლა-შენახვა და განვითარება; ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია; (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,7კმ-ს; მ.შ. ქ. ოზურგეთში ასფალტრებული გზების საერთო სიგრძე ქალაქში შეადგენს 63,8კმ. ბეტონის საფრიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 56,6კმ-ს, მუნიციპალიტეტის ცენტრის ტერიტორიული ერთეულების ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები მთლიანად ასფალტირებულია. მოვლა-შენახვას საჭიროებს 10000კვ.მ. საერთო ფართობის ასფალტირებული გზა). ქალაქში და სოფელში ორმული შეკეთება; სოფლებში შიდასაუბნო გზების მოწესრიგება (სოფლებში შიდა საუბნო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 1160 კმ-ს, მ.შ გრუნტის საფრიანია - 1108,7კმ სიგრძის გზა, ყოველწლიურად აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს 100 კმ საერთო სიგრძის გრუნტისსაფრიანი გზა). გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკება; ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტ-ბეტონით; სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით.

ქვეპროგრამის მიზანი:

გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა | მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე | 100 | 100 | კმ | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ორმოულად შეკეთებული გზების ფართობი | 2500 | 2500 | კვ.მ. | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | გზებისა და ქუჩების საერთო რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება | 48 | 48 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია 02 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია უპირატესად იმ უბნებში, სადაც დასრულდა მიწისქვეშა კომუნაკაციების რეაბილიტაცია, ასფალტობეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფეხით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა. ქალაქში სარეაბილიტაციო გზების საერთო რაოდენობა შეადგენს -11,2 კმ-ს; სასოფლო დასახლებაში სარეაბილიტაციო გზების საერთო რაოდენობა - 350კმ-ს; მოეწყობა 35კმ საერთო სიგრძის ასფალტის საფრიანი გზა, მ.შ. ქალაქში 5 კმ საერთო სიგრძის გაზა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ტროტუარების და ასევე სანიაღვრე არხების მოწყობა ორმხრივად. სოფლად მოეწყობა 30 კმ საერთო სიგრძის ასფალტისსაფრიანი გზა, სადაც ასევე მოეწყობა სანიაღვრე არხები, მ.შ. ორმხრივად 17 კმ-ზე.ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარები მოეწყობა სოფლებში სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებზე, სადაც გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა

საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება კომფორტული და თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნის მიზნით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწესრიგებული და ადაპტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა კომფორტული გადაადგილება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოწესრიგებული და ადაპტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა კომფორტული გადაადგილება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის | მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული გზის საერთო სიგრძე | 32 865 | 4270 | გრძ.მ | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ქალაქ ოზურგეთში რეაბილიტირებული გზების საერთო სიგრძე | 6380 | 1000 | გრძ.მ | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | მოწყობილი სანიაღვრა არხების საერთო სიგრძე | 20000 | 2642 | გრძ.მ | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | პანდუსების რაოდენობა | 4 | 12 | ერთეული | 105% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | მოწყობილი ტროტუარების საერთო სიგრძე | 125,5 | 50 | გრძ.მ | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## საგზაო მოძრაობის ორგანიზება 02 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობის და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით

გზებზე და მოედნებზე, სხვადასხვა ლოკაციებზე საგზაო ნიშნების მოწყობა, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერის და საგზაო ნიშნების მოწყობა. გზების რეაბილიტაციის პროცესში განხორციელდება პროექტით განსაზღვრული საგზაო ნიშნების მოწყობა და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა

(ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნა, გზების გამყოფი ხაზების და გვერდულების დახაზვა და სხვა მონიშვნები). სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილების მიზნით მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, შესაბამისი საგზაო ნიშნებით და დაიხაზება ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელები.ქალაქის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებით და ჰორიზონტალური მონიშვნებით უზრუნველყოფილია ქუჩების საერთო სიგრძის 40%. სკოლების და ბაღების 60%-თან მოწყობილია სიჩარის შემზღუდავი ბარიერები.

ქვეპროგრამის მიზანი:

საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა და ხელშეწყობილია ფეხით მოსიარულეთა და ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა და ხელშეწყობილია ფეხით მოსიარულეთა და ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება | საგზაო ნიშნების რაოდენობა | 72 | 68 | ცალი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების ფართობი | 3800 | 2400 | კვ.მ. | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | სკოლების (საჯარო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები), ბაღების რაოდენობა, სადაც წლის განმავლობაში ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა | 2 | 1 | ცალი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების რაოდენობა | 4 | 4 | ცალი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

### საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია 02 01 04

ქვეპროგრამის აღწერა:

დაზიანებული ხიდების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია; გზების დამცავი რკინაბეტონის კედლების და გაბიონების მოწყობა-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა გზებზე არსებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 110 ერთეულს, მათგან რეაბილიტაციას საჭიროებს 25 ერთეული. კრიტიკულ მონაკვეთებში, მდინარეების და ხევების და ციცაბო ფერდობების მიმდებარედ გამავალი გზის მონაკვეთებზე, სავალი ნაწილის გამაგრების მიზნით რკინაბეტონის კედლების და გაბიონების მოწყობა. 2021 წელს განხორციელდება მდ. ნატანებზე 110 გრძ. მეტრი სიგრძის ხიდის მოწყობა ღირებულებით 1237 ათასი ლარი, 2022 წელს დაგეგმილია და მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია ორი ხიდის მოწყბაზე (თითოეულის სიგრძე 18 მეტრი) ჭახვათაში და სილაურში, ჯამური სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 783 ათასი ლარი. გზის რეაბილიტაციის პროექტებში გათვალისწინებულია გზის დამცავი 110 გრძ.მ. სიგრძის გაბიონის და 90 გრძ. მეტრი საერთო სიგრძის ბეტონის კედლის მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

საგზაო-საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გადაადგილებისთვის პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

რეაბილიტირებულია საგზაო-საინჟინრო ნაგებობები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეაბილიტირებულია საგზაო-საინჟინრო ნაგებობები | მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების სიგრძე | 110 | 36 | ცალი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | მოწყობილი რკინაბეტონის კედლის სიგრძე | 80 | 20 | გრძ.მ. | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | მოწყობილი გაბიონის სიგრძე | 90 | 50 | გრძ.მ. | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## *წყლის სისტემების განვითარება 02 02*

პროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 44%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება - ქ. ოზურგეთში, მ.შ. ანასეულის დასახლებაში, დაბა ნარუჯაში და ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში 7470 ოჯახს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისის" მიერ წყალი მიეწოდება 15 დასახლებულ ერთეულში მცხოვრებ 2860 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია ქალაქის მთლიან ტერიტორიაზე. წყალარინების ქსელი მოწყობილია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ნაწილში და ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 60% და ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციაპლიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დასრულდა ქ. ოზურგეთის ანასეულის დასახლების წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელების მოწყობა - ვაკიჯვარის, ბახვის, დვაბზუს, ცხემლისხიდის ტერიტორიულ ერთეულებში. მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელდა ოთხ დასახლებაში: ნატანები, ნასაკირალი, ძიმითის ნასაკირალი და ლიხაურის უბანში-ოქროს მუხუროში წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-გაფართოების სამუშაოები. სამუშაოების დასრულების შემდეგ სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 264 ოჯახი.

პროგრამის მიზანი:

უზრუნველყოფილია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ. ტექნიკური წყლით) და ქალაქისა და დაბების მრავალბინიანი სახლების წყალარინება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ. ტექნიკური წყლით) და ქალაქისა და დაბების მრავალბინიანი სახლების წყალარინება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| უზრუნველყოფილია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ. ტექნიკური წყლით) და ქალაქისა და დაბების მრავალბინიანი სახლების წყალარინება | დასახლებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია წყალმომარაგება | 17 | 18 | 22 | 26 | 30 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | სასოფლო დასახლებებში აბონენტთა საერთო რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან წყალმომარაგებით | 2753 | 2833 | 3100 | 3400 | 4000 | რაოდენობა | 5% | |
| | წყალმომარაგების სისტემაზე დაერთებული ახალი აბონენტების (საოჯახო მეურნეობები) რაოდენობა | 184 | 80 | 120 | 150 | 200 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | წყალარინების სისტემის აბონენტების საერთო რაოდენობა | 4993 | 5010 | 5030 | 5050 | 5100 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია 02 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციაპლიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-გაფართოება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალმომარაგების სათავე ნაგებობების (მ.შ. ჭაბურღილები), საქლორატოროს, მაგისტრალური და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელების მეშვეობით მიეწოდება მოსახლეობის 44%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება - ქ. ოზურგეთში, მ.შ. ანასეულის დასახლებაში, დაბა ნარუჯაში და ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში 7470 ოჯახს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისის" მიერ წყალი მიეწოდება 15 დასახლებულ ერთეულში 2860 ოჯახს.სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია ქალაქის მთლიან ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს ხორციელდება ოთხ დასახლებაში-ნატანებში,ნასაკირალში, ძიმითის ნასაკირალში და ლიხაურის უბანში-ოქროს მუხუროში წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-გაფართოების სამუშაოები. დაგეგმილია 2000 გრძ.მეტრი სიგრძის ქსელის მოწყობა, სამუშაოების დასრულების შემდეგ სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 264 ოჯახი.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგებით (მ.შ. ტექნიკური წყლით) უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია წყალსადენის ახალი ქსელი და წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია მოსახლეობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მოწყობილია წყალსადენის ახალი ქსელი და წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია მოსახლეობა | მოწყობილი წყალმომარაგების ქსელის სიგრძე | 18 548 | 2000 | მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ახალი აბონენტების რაოდენობა | 184 | 80 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია 02 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისი“-ს მიერ ხორციელდება წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია (ქსელის საერთო სიგრძე 161312 გრძ. მეტრი) და მართვა ტერიტორიულ ერთეულებში - მთისპირი, ასკანა, ჯუმათი, ლაითური, ნასაკირალი, ნატანები (ნაწილობრივ). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისის“ მიერ წყალი მიეწოდება 15 დასახლებულ ერთეულში 2753 ოჯახს. ხორციელდება მიწოდებული წყლის ხარისხის კონტროლი (წლის განმავლობაში 110 სინჯის აღება, სხვადასხვა ლოკაციაზე), დაზიანებების დროული აღმოფხვრა, აბონენტების მომსახურება 24 საათიანი გრაფიკით.

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის უზრუნველყოფა სანიტარული ნორმებით დაცული უსაფრთხო სასმელი წყლითა და ასევე ტექნიკური წყლით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო სასმელი წყლითა და ასევე ტექნიკური წყლით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო სასმელი წყლითა და ასევე ტექნიკური წყლით | წყლის ლაბორატორიული სინჯების რაოდენობა | 110 | 110 | ერთეული | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ქსელის საერთო სიგრძე, რომლის მოვლა-პატრონობაც ხდება (გრძ.მეტრი) | 161312 | 163312 | გრძ/მ | 2% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ქსელში ჩართული აბონენტების საერთო რაოდენობა | 2 753 | 2833 | რაოდენობა | 2% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## კანალიზაციის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია 02 03 03

ქვეპროგრამის აღწერა:

წყალარინების ქსელების გაფართოება ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე. წყალარინების ქსელების მოწყობა საწყის ეტაპზე დაბების ტერიტორიაზე (ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის ცენტრალურ უბნებში, სადაც ძირითადად განლაგებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები). წყალარინების ქსელი მოწყობილია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ნაწილში, საკანალიზაციო ქსელის სიგრძე შეადგენს 34 კმ-ს. ქსელში ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 60%. წყალარინების ქსელი მოწყობილია ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში. 2021 წელს ქ. ოზურგეთში დოლიძის ქუჩაზე დაგეგმილია კანალიზაციის 69 გრძ.მ სიგრძის ქსელის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალარინების ქსელებში ჩართვის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ქალაქსა და დაბებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალარინების ქსელი და მოსახლეობა უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემის მომსახურებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქალაქსა და დაბებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალარინების ქსელი და მოსახლეობა უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემის მომსახურებით | წყალარინების ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა | 10 | 17 | აბონენტი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული/მოწყობილი წყალარინების ქსელის სიგრძე | 69 | 120 | მეტრი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება 02 03

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში (მ.შ. ქალაქში) საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული, 228297 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერების და პარკების წილი შეადგენს 10%-ს. მუნიციპალიტეტის 29 ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ადმინისტრაციული შენობების 80% საჭიროებს სხვადასხვა რიგის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა; მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შენობა-ნაგებობები და შექმნილია პირობები დასვენებისა და მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ღია სივრცეები და შენობა-ნაგებობები და შექმნილია პირობები დასვენებისა და მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად | რეაბილიტირებული სკვერები და პარკების წილი საერთო რაოდენობაში | 32 | 36 | 40 | 44 | 48 | რაოდენობა | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების წილი საერთო რაოდენობაში | 3 | 6 | 9 | 12 | 15 | რაოდენობა | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია 02 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის  დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული, 228297 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების წილი შეადგენს 10%-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში, სკერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით  ხორციელდება შემომზღუდავი დეკორაციული ღობეების მოწყობა, სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2022 წელს ქ. ოზურგეთში დაგეგმილია ორი დასასვენებელი და გასართობი სივრცის რეაბილიტაცია. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და ვიზიტორთა დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია ღია დასასვენებელი სივრცეები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მოწყობილია ღია დასასვენებელი სივრცეები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოწყობილი-რეაბილიტირებული სკვერების და პარკების რაოდენობა | 1 | 2 | ცალი | 0% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია 02 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტარციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების კეთილმოწყობა და შენობების სარეაბილიტაციო - სარემონტო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის 29 ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების 80% საჭიროებს სხვადასხვა რიგის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. 2021 წელს ქ. ოზურგეთში განხორციელდა საზაფხულო კინოს კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეაბილიტირებული ობიექტის რაოდენობა | 1 | 1 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა 02 03 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების ელ. მომარაგების, გაზმომარაგების, წყალმომარაგების და წყალარინების ქსელებზე დაერთების უზრუნველსაყოფად საჭირო დაერთების ღირებულების გადახდა ლიცენზიან კომპანიებზე, რომლებიც განახორციელებენ ობიექტების კომუნალურ ქსელებში ჩართვას. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ობიექტებზე მიწოდებული ელ. ენერგიის, გაზმომარაგების და წყალმომარაგების სიმძლავრის გაზრდას, საჭიროების შესაბამისად და აღნიშნულის განსახორციელებლად დადგენილი ტარიფის შესაბამისი სიმძლავრის გაზრდის ღირებულების ანაზღაურებას. 2022 წელს განხორციელდება 10 ობიექტის ჩართვა კომუნალურ ქსელებში.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების კომუნალურ ქსელებზე დაერთება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების კომუნალურ ქსელებზე დაერთება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| უზრუნველყოფილია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების კომუნალურ ქსელებზე დაერთება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კომუნალურ ქსელებზე დაერთებული ობიექტების რაოდენობა | 10 | 10 | რაოდენობა | 5% | ოპერატორი კომპანიების მხრიდან სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## *პროექტირება და ექსპერტიზა 02 04*

პროგრამის აღწერა:

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების სხვადასხვა კომუნალურ ქსელებზე დაერთება.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება | მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა | 40 | 35 | 36 | 38 | 40 | ცალი | 1% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა | 30 | 30 | 30 | 35 | 35 | ცალი | 1% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 02 04 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი ექსპერტიზაგავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მომზადებულია შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მომზადებულია შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მომზადებული დოკუმენტაციების რაოდენობა | 40 | 35 | ცალი | 1 | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა 02 04 02

ქვეპროგრამის აღწერა:

შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივად ხორციელდება ექსპერტიზა. შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცესში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობაზე, რის შედეგადაც მიიღწევა ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. მუნიციპალიტეტში 50 ათასს ლარს ზევით ღირებულების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხორციელდება ეტაპობრივი და საბოლოო ექსპერტიზა, რომლის ღირებულება შეადგენს შესრულებული სამუშაობის ღირებულების 3,29%-ს. 50 ათასს ლარს ქვევით ღირებულების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხორციელდება საბოლოო ექსპერტიზა, რომლის ხარჯი გათვალისწინებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობის კონტროლის განხორციელება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა | 30 | 30 | ცალი | 1% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

*სამოქალაქო ბიუჯეტი 02 05*

პროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული პროექტის - მონაწილეობითი ბიუჯეტის (იყავი თანამმართველი) ფარგლებში ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მოქალაქეების (საინიციატივო ჯგუფები)–ს მიერ წარმოდგენილი და კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული პროექტების შესაბამისად სკვერების, საბავშვო კუთხეების, მინისტადიონების და სხვა ტერიტორიების მოწყობა - რეაბილიტაცია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი"-ს განხორციელების წესის შესაბამისად საპროექტო განაცხადის წარდგენა (რეგისტრაცია) ხდება ელექტრონული წესით, ამისთვის სპეციალურად შექმნილი მართვისა და ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ელექტრონული მისამართია http://votes.oz.gov.ge.

საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება აქვს ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ:

ა) სრულწლოვან პირს;

ბ) პირთა ჯგუფს;

გ) არასამეწარმეო სახის საზოგადოებრივ გაერთიანებას.

განხილვას ექვემდებარება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ წესს.

2022 წელს დგეგმილია ოთხი პროექტის განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში | განხორციელებული პროექტი | 2 | 4 | 4 | 5 | 6 | პროექტის რაოდენობა | 0% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## *ბინათმშენებლობა 02 06*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის (მ.შ. ბავშვების) დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 60 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. ოთხწლიან პერიოდში დაგეგმილია დამატებით 4 ერთეული მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ორ მაღლივი კორპუსში ლიფტების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 8 მრავალბინიანი სახლის ფასადების რეაბილიტაცია. ქ. ოზურგეთში კეთილმოეწყო მრავალბინიანი სახლების 10 ეზო, დაგეგმილია 10 მრავალბინიანი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.

პროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო | კეთილმოწყობილი მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების რაოდენობა | 30 | 32 | 34 | 36 | 38 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული ლიფტების რაოდენობაში | 71 | 86 | 100 | | | რაოდენობა | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებულ სახურავიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა | 87 | 88 | 89 | 90 | 91 | რაოდენობა | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა 02 06 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. ქ. ოზურგეთში კეთილმოეწყო მრავალბინიანი სახლების 16 ეზო.

ქვეპროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის მოწყობილია ღია სივრცეები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის მოწყობილია ღია სივრცეები | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მრავალბინიანი სახლების კეთილმოწყობილი ეზოები | 2 | 2 | ცალი | 5% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა 02 06 02

ქვეპროგრამის აღწერა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა. განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 60%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების 80 %-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი, შეკეთდა სახურავების წყალშემკრები სისტემა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის ქ.ოზურგეთში რეაბილიტირებულ იქნა 6 ლიფტი, 1 საჭიროებს შეკეთებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლიდან დღემდე რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა შეადგენს-12. ქვეპროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებისა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის | წლის განმავლობაში რეაბილიტირებული სახლის სახურავები და ფასადები | 1 | 2 | ცალი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | შეკეთებული ლიფტები | 1 | 1 | ცალი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | რეაბილიტირებული წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა ქსელები | 1 | 1 | ცალი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## *გარე განათება და ელმომარაგება 02 07*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება | მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების %, სადაც ხელმისაწვდომია გარე განათების სერვისი | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | პროცენტული მაჩვენებელი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | დასახლებული ერთეულების გზების საერთო სიგრძის %, სადაც მოწყობილია გარე განათება | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | პროცენტული მაჩვენებელი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | თანამედროვე LED სანათების % გარე სანათების საერთო რაოდენობასთან მიმართებით | 12% | 13% | 14% | 15% | 16% | პროცენტული მაჩვენებელი | | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია 02 07 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. ღამის განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 800 კმ-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსახლეობიდან შემოდის მოთხოვნები სოფლების სხვადასხვა უბნებში გარე განათების ქსელების მოწყობის უზრუნველსაყოფად. 2021 წელს განხორციელდა ურეკი - შეკვეთილის გზაზე და სოფ. შემოქმედის უბანში ღამის განათების ქსელის მოწყობა. განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში განხორციელდება 140 ღამის განათების LED სანათის მოწყობა. გარე განათების ქსელების გაფართოება დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განათების გარეშე დარჩენილ განსაზღვრულ მონაკვეთებზე, ასევე გარე განათების გარეშეა დარჩენილი

სოფლად დასახლებული ერთეულების პერიფერიული უბნები. რომელთა ნაწილში 2022 წელს განხორციელდება გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები.

ქვეპროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია.

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის | გარე განათების ლამპიონების რაოდენობა | 300 | 320 | ცალი | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | თანამედროვე LED სანათების რაოდენობა | 300 | 200 | ცალი | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | სკვერების და პარკების რაოდენობა, სადაც მოწყობილია გარე განათება | 28 | 30 | ცალი | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | გარე განათების ქსელის სიგრძე | 8000000 | 8010000 | გრძ.მ | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

### მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ელმომარაგების ხარჯების ანაზღაურება 02 07 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი | 752 000 | 900000 | ლარი | 10% | ელ. ენერგიის ტარიფის ზრდა |

## გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია 02 07 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 3500 ლამპიონი, სხვა დასახლებულ ერთეულებში განთავსებულია 10200 ლამპიონი. გარე განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 800 კმ-ს.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა | გარე განათების ქსელის წერტილების რაოდენობა | 13 600 | 13900 | ცალი | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |
| | გარე განათების ქსელის გრძ/მ | 800000 | 810000 | გრძ/მ | 10% | სახელშეკრულებო პირობების დარღვევა |

## *მუნიციპალური ტრანსპორტი 02 08*

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შპს „მუნიციპალური ტრანსპორტის" მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ათ დასახლებულ ერთეულში მგზავრების რეგულარული გადაყვანა. შპს „მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე ირიცხება 15 სატრანსპორტო ერთეული (სამგზავრო ავტობუსი). სატრანსპორტო საშუალებების საშუალო წლოვანება შეადგენს 13 წელს. დღის განმავლობაში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება ათ მარშრუტზე: ოზურგეთი-შემოქმედი - შვიდი რეისი; ოზურგეთი-გორისფერდი - ერთი რეისი; ოზურგეთი-გომი - ოთხი რეისი; ოზურგეთი-ლიხაური-ოთხი რეისი; ოზურგეთი-ნიაბაური-ოთხი რეისი; ოზურგეთი-ვაკიჯვარი -შვიდი რეისი; ოზურგეთი-ცხემლისხიდი-შვიდი რეისი; ოზურგეთი-ასკანა - ოთხი რეისი; ოზურგეთი- ლაითური- ორი რეისი, ოზურგეთი-ნარუჯა - ორი რეისი. ლაითურში და ნარუჯაში ხორციელდება პედაგოგების გადაყვანა დილით და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უფასოდ. მუნიციპალიტეტის ათ დასახლებულ ერთეულში, შპს „მუნიციპალური ტრანსპორტის" მიერ სრულდება ყოველდღიურად 42 რეისი, ათ მარშრუტზე.

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებული სატრანსპორტო გადაზიდვები; დროულად და კომფორტულად გადაყვანილი მგზავრები, მ.შ. უფასოდ გადაყვანილი სკოლის პედაგოგები; მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებადი ტარიფებით მგზავრთა მომსახურება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები | გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა | 29500 | 30000 | 32000 | 32000 | 40000 | სული | | პანდემია |
| | შესრულებული რეისების რაოდენობა | 15330 | 15570 | 16060 | 16060 | 18250 | რეისი | | პანდემია |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ჩამდინარე წყლების მართვა მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება.

| პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება | | დასუფთავება და გარემოს დაცვა | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 03 01 | მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება | 2 420 000 | 2 490 000 | 2 570 000 | 2 637 000 |
| 03 01 01 | ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები | 490 000 | 520 000 | 560 000 | 600 000 |
| 03 01 02 | ნარჩენების გატანა | 630 000 | 650 000 | 680 000 | 700 000 |
| 03 01 03 | ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა | 1 300 000 | 1 320 000 | 1 330 000 | 1 337 000 |
| 03 02 | რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება | 180 000 | 180 000 | 190 000 | 200 000 |
| 03 02 01 | სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა | 170 000 | 170 000 | 180 000 | 190 000 |
| 03 02 02 | მრავალწლიანი ნარგავების შეძენა | 10 000 | 10 000 | 10 000 | 10 000 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა | 300 000 | 320 000 | 320 000 | 340 000 |
| 03 03 01 | ჩამდინარე წყლების მართვა | 120 000 | 120 000 | 120 000 | 130 000 |
| 03 03 02 | მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა | 90 000 | 110 000 | 110 000 | 120 000 |
| 03 03 03 | მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 90 000 | 90 000 | 90 000 | 90 000 |
| | სულ პრიორიტეტის დაფინანსება | 2 900 000 | 2 990 000 | 3 080 000 | 3 177 000 |

## *მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება 03 01*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 1550 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 5 ნაგავმზიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 277400 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2022

წლისათვის იგეგმება 70280 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 347680კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 248680 კვმ და სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე 99000 კვმ-ის.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება.

პროგრამის ინდიკატორი:

| ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ურბანულ დასახლებაში ასფალტირებული /ასფალტობეტონის / ბეტონის ან გრანიტის საფარის მქონე ქუჩების %, სადაც უზრუნველყოფილია დაგვა-დასუფთავების მომსახურება | 90% | 100% | 100% | 100% | 100% | % | 5% | |
| დასახლებულ პუნქტებში განლაგებული კონტეინერების რაოდენობის შეფარდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობასთან | 1/33 | 1/30 | 1/30 | 1/28 | 1/25 | ცალი | 5% | |
| დასახლებული პუნქტების %, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა | 55% | 60% | 65% | 70% | 75% | % | 2% | |

## ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები 03 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას, ნაგვის ურნებში განთავსებას. ამ მიმართულებით მუნიციპალტეტს ემსახურება 55 მეეზოვე. პროგრამის ფარგლებში 2022 წლისათვის იგეგმება 70280 კვმ-ით მეტი ფარობის დაგვა სულ ყოველდღიურად მოხდება 347680კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება მ.შ ქალაქის ტერიტორიაზე 248680 კვმ და სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე 99000 კვმ-ის.

ქვეპროგრამის მიზანი:

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ქალაქსა და დაბებში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია ქალაქსა და დაბებში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება | ქუჩების რაოდენობა, რომელთა დაგვა-დასუფთავებაც ხდება | 58% | 64% | % | 5% | |
| | საზოგადოებრივი სივრცეების ფართობი, რომლის დაგვა-დასუფთავებაც ხდება | 400000კვმ | 400000კვმ | კვ.მ | 5% | |

## ნარჩენების გატანა 03 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპოგრამა მოიცავს შეგროვებული ნარჩენების გატანას ყოველდღიურად, ხოლო ტურისტულ სეზონზე დღეში ორჯერ. მუნიციპალიტეტში განთავსებული 1800 ურნიდან ყოველ დღიურად მოხდება 40 ტონამდე ნარჩენის გატანა ნაგვის პოლიგონზე. ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 5 ნაგავმზიდი.

ქვეპროგრამის მიზანი:

ნარჩენების დროული გატანა და სუფთა გარემო.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა დასახლებული ტერიტორიებიდან.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა დასახლებული ტერიტორიებიდან | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დასახლებულ პუნქტებში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა | 1800 | 1900 | რაოდენობა | 10% | |
| | წლის განმავლობაში ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების ოდენობა | 13100 | 14410 | ტონა / მოცულობა | 10% | |

## მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება 03 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის, მწვანე საფარის დაგვა-დასუფთავების; სანაგვე კონტეინერების დეზიფექციის, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვის; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდის, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანის; ურეკი-შეკვეთილის ტერიტორიის დასუფთავების; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული უზრუნველყოფისათვის გამოყენებული იქნება ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის მფლობელობაში არსებული შრომითი რესურსები და ტექნიკა.

ქვეპროგრამის მიზანი:

შესასრულებული სამუშაოების ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია დასუფთავების სერვისის ეფექტური მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია დასუფთავების სერვისის ეფექტური მართვა | დასუფთავების სერვისში დასაქმებულთა რაოდენობა (ქალი, კაცი) | 99 (მ.შ. ქალი 42, კაცი 57) | 99 (მ.შ. ქალი 42, კაცი 57) | რაოდენობა | 5% | |
| | ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობა | 9 | 9 | ცალი | 5% | |

## *რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება 03 02*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების, ყვავილებისა და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული, 228297 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერების და პარკების წილი შეადგენს 10%-ს.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| დარგული მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა | N/A | 260 | 300 | 350 | 400 | რაოდენობა | 10% | ფორსმაჟორი |

## სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა 03 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობა, მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა | სკვერების და პარკების წილი პარკების და სკვერების საერთო რაოდენობაში, რომელთა მოვლა-პატრონობაც ხდება | 50% | 55% | პროცენტი | 5% | ფორს-მაჟორი |
| | მუნიციპალიტეტის გამწვანებული სივრცეების (პარკები, სკვერები) ფართობი, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება | 6600კვმ | 6800 | კვ.მ | 10% | ფორს-მაჟორი |

## მრავალწლიანი ნარგავების შეძენა 03 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 5000 ერთეული ერთწლიანი ყვავილის და 260 ერთეული სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალაქის ტერიტორიის გამწვანება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები და უზრუნველყოფილია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები და უზრუნველყოფილია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა | გამწვანებული ტერიტორიის წილი, რომელზეც ხორციელდება გამწვანების (მრავალწლიანი ნარგავები) მიმდინარე ღონისძიებები | 50% | 55% | პროცენტი | 10% | ფორს-მაჟორი |
| | ფართობი, რომელზეც ხორციელდება ყვავილების დარგვა | 350 კვ მ | 400კვმ | კვ.მ | 10% | ფორს-მაჟორი |
| | მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა, რომელთა დარგვაც ხდება | N/A | 260 | რაოდენობა | 10% | ფორს-მაჟორი |
| | ერთწლიანი ყვავილების რაოდენობა, რომელთა დარგვაც ხდება | N/A | 5000 | ძირი | 10% | ფორს-მაჟორი |

### *მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა 03 03*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტი სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში უკონტროლო გადაადგილების აღკვეთა, მაწანწალა ძაღლების დაჭერა, თავშესაფარში გადაყვანა შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით/ცოფზე აცრა) ჩატარება და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებთან მისასვლელი გზებისა და უპატრონო საფლავების გაცელვა-გაწმენდას, შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას, ღობეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრის ჩატარებას.

პროგრამის მიზანი:

ჩამდინარე წყლების მართვა (სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება), მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა | სანიაღვრე ქსელის საერთო სიგრძის წილი, რომელიც მართვაც ხდება | 50% | 55% | 60% | 66% | 73% | პროცენტი | 10% | ფორს-მაჟორი |
| | მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების რაოდენობა (სტერილიზაცია, ვაქცინაცია) | N/A | 800 | 10% - ით ზრდა | 10% - ით ზრდა | 10% - ით ზრდა | 10% - ით ზრდა | 10% | ფორს-მაჟორი |
| | სასაფლაოების საერთო ფართობი, რომლის მოვლა-პატრონობაც ხდება | 50 ჰა | 50 ჰა | 50 ჰა | 50 ჰა | 50 ჰა | რაოდენობა | 10% | ფორს-მაჟორი |

### ჩამდინარე წყლების მართვა 03 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტი სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლუატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვა, რათა შემცირდეს წყალმოვარდნების რისკი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ჩამდინარე წყლების მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ჩამდინარე წყლების მართვა | სანიაღვრე ქსელის წილი, რომელის მოვლა-პატრონობაც ხდება | 50% | 60% | პროცენტი | 10% | ფორს-მაჟორი |

### ჩამდინარე წყლების მართვა 03 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მსხვილფეხა დაახლოებით 100 რქოსანი პირუტყვის ქალაქში უკონტროლო გადაადგილების აღკვეთას, 800 მაწანწალა ძაღლების დაჭერას, თავშესაფარში გადაყვანას შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე

დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქოსანი პირუტყვის გადაადგილების კონტროლი და მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების მართვა და გაკონტროლებულია ქალაქში შინაური პირუტყვის გადაადგილება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების მართვა და გაკონტროლებულია ქალაქში შინაური პირუტყვის გადაადგილება | ძაღლების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ სტერილიზაცია, ვაქცინაცია, დაბირკვა | N/A | 800 | რაოდენობა | 10% | ფორს-მაჟორი |
| | ქალაქში შინაური პირუტყვის მოძრაობის დროს გამოწერილი ჯარიმების რაოდენობა | 230 | 253 | რაოდენობა | 10% | ფორს-მაჟორი |

### მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა 03 03 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 137 სასაფლაოსთან ( მ.შ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ 7 და მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებში 130) მისასვლელი გზებისა და უპატრონო საფლავების გაცელვა-გაწმენდას, შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას, ღობეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას,სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრის ჩატარებას. ბალახის, ბუჩქების და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა და მომსახურეობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწესრიგებულია მუნიციპალური სასაფლაოები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მოწესრიგებულია მუნიციპალური სასაფლაოები | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სასაფლაოების რაოდენობა | 137 | 137 | რაოდენობა | 0% | ფორს-მაჟორი |

## განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში, ასევე დაფინანსდება ზოგადი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები.

| პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება | | განათლება | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 5 170 000 | 4 900 000 | 5 040 000 | 5 200 000 |
| 04 01 01 | ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი | 5 170 000 | 4 900 000 | 5 040 000 | 5 200 000 |
| 04 02 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 90 000 | 92 000 | 103 000 | 105 000 |
| 04 02 01 | საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები | 25 000 | 27 000 | 33 000 | 35 000 |
| 04 02 02 | 100%-იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეების წახალისება | 65 000 | 65 000 | 70 000 | 70 000 |
| 04 03 | არაფორმალური განათლება | 60 000 | 60 000 | 65 000 | 65 000 |
| 04 03 01 | არაფორმალური განათლების ხელშეწყობა | 40 000 | 40 000 | 40 000 | 40 000 |
| 04 03 02 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 20 000 | 20 000 | 25 000 | 25 000 |
| | სულ პრიორიტეტის დაფინანსება | 5 320 000 | 5 052 000 | 5 208 000 | 5 370 000 |

## სკოლამდელი განათლება 04 01

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 44 საბავშვო ბაღი 2404 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 843 თანამშრომელი, მათ შორის 87 კაცი და 756 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება

სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა | დასახლებული ერთეულების რაოდენობა, სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი | 29 | 29 | 29 | 29 | 29 | დასახლება | 0% | ფორს-მაჟორი |
| | მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სერვისით მოსარგებლე აღსაზრდელთა წილი 6 წლამდე ბავშვთა საერთო რაოდენობაში | 54% | 60% | 65% | 67% | 70% | ბავშვი | 5% | სკოლამდელი აღზრდის შენობების ნაკლებობა |
| | სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ხარჯები ერთ აღსაზრდელზე | 1670 | 1975 | 2000 | 2020 | 2045 | ლარი | 10% | პანდემია, საგანგებო მდგომარეობა |
| | აღმზრდელთა რაოდენობა ბავშვების საერთო რაოდენობასთან მიმართებით | 1/11 | 1/11 | 1/11 | 1/11 | 1/11 | 1/11 | 5% | პანდემია, საგანგებო მდგომარეობა |
| | სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების წილი საბავშვო ბაღების საერთო რაოდენობაში | 45 | 50 | 55 | 60 | 70 | % | 5% | არასაკმარისი ფინანსური რსურსი |

### ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი 04 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 44 საბავშვო ბაღი 2404 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 843 თანამშრომელი, მათ შორის 87 მამაკაცი და 756 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის მიზანი:

საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა | 608 | ბიჭი 52%; გოგო 48% | რაოდენობა | 2% | პანდემია |
| | სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა | 739 | ბიჭი 52%; გოგო 48% | რაოდენობა | 2% | პანდემია |
| | გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა | 200 | ქალი | რაოდენობა | 10% | პანდემია |

## *ზოგადი განათლების ხელშეწყობა 04 02*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სასკოლო, სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის კოორდინაცია;

დამხმარე სასწავლო მეთოდოლოგიის, ინკლუზიური განათლების პროგრამების გავრცელების ხელშეწყობა.

მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა).

პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ზოგადი განათლება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| ხელშეწყობილია ზოგადი განათლება | რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობა | 5 | 10 | 10 | 12 | 15 | სკოლის შენობა | 10% | ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება |
| | კურსდამთავრებულთა რაოდენობა | 14 (გოგო, ბიჭი) | 16 | 18 | 20 | 25 | აბიტურიენტი | 10% | ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება |

## საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები 04 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებშიგანხორციელდება მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტები (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა).

ქვეპროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის ადაპტირებული და კომფორტული გარემოს შექმნა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა | 5 | 10 | პროექტების რაოდენობა | 10% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა |

## 100%-იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეების წახალისება 04 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

100% -იან სახელმწიფო გრანტის მფლობელ სკოლის კურსდამთავრებულებს და მათ სკოლას, ერთჯერადად გადაეცემათ ფულადი ჯილდო, გრანტის მფლობელ მოსწავლეს 3000, ხოლო სკოლა 1000 ლარის ოდენობით (მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეროვნული გამოცდების შედეგად 100% -იანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებულების მონიტორინგი, ბაზის შექმნა, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან წახალისების მიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებს 3000 (სამიათასი) ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1000 (ათასი) ლარით (თითოეულ წარმატებულ მოსწავლეზე) სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების ფინანსური წახალისება, რომელთაც 100% -იანი სახელმწიფოს გრანტი აქვთ მოპოვებული.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

100% -იანი სახელმწიფოს გრანტის მფლობელი ოზურგეთის სკოლების კურსდამთავრებულები და მათი სკოლები ფინანსურად არიან წახალისებული.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 100% -იანი სახელმწიფოს გრანტის მფლობელი ოზურგეთის სკოლების კურსდამთავრებულები და მათი სკოლები ფინანსურად არიან წახალისებული | კურსდამთავრებულთა რაოდენობა | 14 | 16 | რაოდენობა | 10% | ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება |
| | სკოლების რაოდენობა, რომელთაც წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავდათ | 4 | 6 | რაოდენობა | 10% | ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება |

## *ზოგადი განათლების ხელშეწყობა 04 03*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთ უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება; შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება; დოკუმენტების დახვეწის მიზნით პროცესების მართვა და შემდგომში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია.

გენდერულ საკითხებზე ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება

მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება; განათლების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა.

მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის" მუშაობის კოორდინაცია;

დამხმარე სასწავლო მეთოდოლოგიის, ინკლუზიური განათლების პროგრამების გავრცელების ხელშეწყობა. ახალგაზრდებისა და მოსწავლეების არაფორმალური განათლების ხელშეწყობა შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობების გზით.

პროგრამის მიზანი:

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია არაფორმალური განათლება და უზრუნველყოფილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| ხელშეწყობილია არაფორმალური განათლება და უზრუნველყოფილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე | არაფორმალური განათლების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 8 | 16 | 22 | 30 | 45 | რაოდენობა | 10% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები | 10 | 15 | 16 | 18 | 20 | რაოდენობა | 10% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | "ქალთა ოთახის“ ღონისძიებების რაოდენობა | 7 | 20 | 25 | 30 | 35 | რაოდენობა | 15% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |

## არაფორმალური განათლების ხელშემწყობა 04 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას. დაგეგმილი ღონისძიებები, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას თანასწორობის, ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ქვეპროგრამის მიზანი:

საზოგადოების არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება თანასწორობის საკითხებზე.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ჩატარებულია ღონისძიებები და უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირება თანასწორობის საკითხებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩატარებულია ღონისძიებები და უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირება თანასწორობის საკითხებზე | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 8 | 16 | რაოდენობა | 10% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა | 350 | 500 | რაოდენობა | 10% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა | 10 | 15 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |

## გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 04 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთ უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება; შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა კვლევების, საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებები ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის; ასევე დაგეგმილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულები. აღნიშნული ღონისძიებები დაიგეგმება და განხორციელდება „ქალთა ოთახის“ მიერ.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების ფინანსური წახალისება, რომელთაც 100% -იანი სახელმწიფოს გრანტი აქვთ მოპოვებული.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება | გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 2 | 5 | ღონისძიება | 5% | პანდემია |
| | „ქალთა ოთახის“ მიერ ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა | 7 | 20 | ღონისძიება | 15% | პანდემია |
| | ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა | 4 | 7 | ღონისძიება | 10% | პანდემია |
| | სხვადასხვა პროექტებში თანამონაწილეობა | 3 | 6 | ღონისძიება | 10% | პანდემია |

## კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მომდევნო წლებშიც მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება წარმატებული სპორტსმენები და შესაბამისი პირობების შექმნით უზრუნველყოფილი იქნება ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

| პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება | | კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2 070 000 | 2 020 000 | 2 105 000 | 2 205 000 |
| 05 01 01 | მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა | 50 000 | 50 000 | 50 000 | 50 000 |
| 05 01 02 | სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა | 1 350 000 | 1 300 000 | 1 355 000 | 1 435 000 |
| 05 01 03 | სპორტული კლუბების ხელშეწყობა | 670 000 | 670 000 | 700 000 | 720 000 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2 760 000 | 2 910 000 | 2 965 000 | 2 995 000 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა | 84 000 | 85 000 | 85 000 | 85 000 |
| 05 02 02 | კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 70 000 | 85 000 | 85 000 | 85 000 |
| 05 02 03 | კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | 30 000 | 30 000 | 30 000 | 30 000 |
| 05 02 04 | კულტურის ობიექტების დაფინანსება | 2 576 000 | 2 710 000 | 2 765 000 | 2 795 000 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამები | 70 000 | 70 000 | 80 000 | 100 000 |
| 05 03 01 | „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ახალგაზრდული პროექტები | 50 000 | 50 000 | 60 000 | 70 000 |
| 05 03 02 | ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა | 7 500 | 7 500 | 7 500 | 10 000 |
| 05 03 03 | ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა | 12 500 | 12 500 | 12 500 | 20 000 |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა | 100 000 | 100 000 | 100 000 | 100 000 |
| 05 04 01 | რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა | 80 000 | 80 000 | 80 000 | 80 000 |
| 05 04 02 | ეკლესია მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები | 20 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| | სულ პრიორიტეტის დაფინანსება | 5 000 000 | 5 100 000 | 5 250 000 | 5 400 000 |

### *სპორტის განვითარების ხელშეწყობა 05 01*

პროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და

მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;

სართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. საერთაშორისო ტურნირი კაიაკინგში, რომელიც იმართება სოფ.შემოქმედში მდინარე ბჟუჯზე და მონაწილეობას ღებულობს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კაიაკერები, სპორტული შეჯიბრება კიბერსპორტში, რეგიონალური სპორტული შეჯიბრება შ.შ.მ. პირებს შორის, რომელშიც ჩართულია ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები შ.შ.მ. პირები.

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები | ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა (კაცი, ქალი) | მათ შორის კაცი 80%, ქალი20 % | მათ შორის კაცი 80%, ქალი20 % | მათ შორის კაცი 75%, ქალი25 % | მათ შორის კაცი 70%, ქალი 30 % | მათ შორის კაცი 70 %, ქალი 30% | რაოდენობა | 5% | ფორსმაჟორული მდგომარეობა |
| | სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე) | (მათ შორის ბიჭი 80 %, გოგო 20%) | (მათ შორის ბიჭი 80%, გოგო 20%) | (მათ შორის ბიჭი 75%, გოგო 25%) | (მათ შორის ბიჭი 70%, გოგო 30%) | (მათ შორის ბიჭი 70%, გოგო 30%) | რაოდენობა | 5% | სხვა გაუთვალისწინებელი |
| | ჩატარებული სპორტული ღონისძიების რაოდენობა | 25 | 40 | 45 | 50 | 60 | რაოდენობა | 10% | პანდემია |

## მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა 05 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა", საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ორგანიზებაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიდის ფედერაცია, ასევე სპორტული აიპები და სიპები, ღონისძიებაში ჩართულია მუნციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 42 საჯარო და სამრევლო სკოლების 1500 მოსწავლეებისაგან (900 ვაჟი, 600 ქალი) შემდგარი სპორტული გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, ხოლო შემდეგ რეგიონალურ და ფინალურ შეხვედრებში სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ტენისი, კროსი, ფრენბურთი. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად იმართება პროექტი ,,მოყვარულთა თასი" მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის (სხვადასხვა რაოდენობის გუნდები გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, დაახლოებით 8 -10 გუნდი, 200 მდე მოყვარული ფეხბურთელები, 15 -29 წლის მამაკაცები)ტურნირები, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. ,,საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია' ,,გურიის კიბერსპორტის ფედერაცია"სთან ერთად ყოველწლიურად ატრებს ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობას სავარაუდოდ იღებს 200- მდე ახალგაზრდა ვაჟი 16 წლიდან 30 წლამდე.

ფესტივალი ,,საქართველოს კომპიუტერული სპორტი 2019" არის ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება, რომელიც ერთდროულად მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას: ინტელექტუალური შეჯიბრებები, განათლება, გართობა, სპორტული აქტივობები, გამოფენები, სანახაობრივი შოუები და ა.შ., გამარჯვებულებს ეძლევათ შანსი საქართველოს სახელით იასპარეზონ უცხოეთში გამართულ სხვადასხვა ფესტივალ- ჩემპიონატებზე.

„ევროპის სპორტის კვირეული“ „სპორტის საერთაშორისო დღე“, იმართება სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, დაახლოებით ჩართულია 250 მოსწავლე, აქედან 150 ვაჟი, 100 გოგონა. საერთაშორისო ტურნირი „კაიაკინგში“, რომელშიც მონაწილეობს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კაიაკერები (დაახლოებით 18 ქვეყანა 60 მდე მონაწილე, 40 მამაკაცი, 20 ქალი). ფინალური ტურნირების დასრულების შემდეგ , დასკვნით ღონისძიებაზე გამარჯვებული კაიაკერები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. წლის ბოლოს იმართება წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწრთვნელების დაჯილდოება.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები | სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სკოლის მოსწავლეები (გოგონები ვაჟები 18-წლამდე) | კოვიდ-პანდემიის გამო არ ჩატარდა გარკვეული ღონიძიებები | 300 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეროლოგიური პრობლემები. |
| | ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა | კოვიდ-პანდემიის გამო არ ჩატარდა გარკვეული ღონიძიებები | 20 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეროლოგიური პრობლემები. |
| | დაჯილდოებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების რაოდენობა | სპორტსმენი (მათ შორის ქალი 10%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 10% ) | სპორტსმენი (მათ შორის ქალი 15%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 15% ) | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეროლოგიური პრობლემები. |
| | სპორტულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა | 10000 | 15000 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეროლოგიური პრობლემები. |

## სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა 05 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სპორტული წრეების: ჭიდაობის, ფეხბურთის რაგბის, ტაეკვანდოს, ძიუდოს, ფარიკაობის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, ფრენბურთის მხარდაჭერა, მონიტორინგის განხორციელება მათი საჭიროებების შეფასება. სულ 6-დან 18 წლამდე 1404 ბავშვი და მოზარდი დადის სპორტულ წრეებზე, მათ შორის 1251 ბიჭია და 153 გოგო. სულ სპორტულ წრეებს ემსახურება 50 მწვრთნელი ემსახურებათ და მათ შორის 3 ქალი . მუნიციპალიტეტში სპორტული

წრეები ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში და შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:1.სოფ.შრომა, სოფ.ქვემო ნატანები, სოფ.ბახვი, სოფ.დვაბზუ, სოფ. ბოხვაური, სოფ.მერია, სოფ.შემოქმედი, სოფ,ოზურგეთი, სოფ.ზემო ნატანები, დაბა ნასაკირალი, სოფ.ლიხაური, სოფ.შრომა, სოფ. კვირიკეთი;

სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარება, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობებისათვის გუნდებისა მათი მწვრთნელების ტრანსპორტირება საჭიროების შემთხვევაში, სპორტული ინვენტარის გადაცემა წახალისების მიზნით. ადგილობრივ ტრადიციულ ღონისძიებებში მათი ჩართულობა და ღონისძიებებზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში გამოვლენილი გამარჯვებული სპორტსმენებისათვის ჯილდოებისა და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა. დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სისტემატურ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის | სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე) | (მათ შორის ბიჭი 90%, 10 გოგო %) | (მათ შორის ბიჭი 85 გოგო 15 %) | რაოდენობა | 5% | პანდემიის გამო დაბალი მომართვიანობა |
| | მწვრთნელების რაოდენობა | (მათ შორის ქალი 6%) | (მათ შორის ქალი 10%) | რაოდენობა | 5% | |
| | სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა | 40 | 60 | რაოდენობა | 10% | პანდემიის გამო ტურნირების ჩაშლა |

## სპორტული კლუბების ხელშეწყობა 05 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური ფეხბურთელების და რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს საფეხბურთო ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. ამჟამად შპს საფეხბურთო კლუბ მერცხალში ფუნქციონირებს ბავშვთა 5 ასაკობრივი ჯგუფი (U-7-8; U-9-10; U-11-12; U-13-14; U-15-16;) რომლებიც მონაწილეობენ გურია აჭარის და იმერეთის ღია ჩემპიონატებში; ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი სპორტული განვითარებისათვის; 2021 წლისათვის ბავშვთა რაოდენობა 180-ია (მათ შორის 180-ვე ბიჭია), 2022 წელს იგეგმება ბავშვთა რაოდენობის გაზრდა 230 -მდე. რაგბისტთა სპორტული კლუბი „არწივები" მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის 1 ლიგაში, გუნდში ვარჯიშობს 40-ი 18 დან 30 წლამდე სპორტსმენი. ასევე ვარჯიშობს 7 დან 18 წლამდე ასაკის 175 ბავშვი, მათ შორის 170 ბიჭია და 5 გოგონა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ფეხბურთისა და რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა | საფეხბურთო კლუბში ჩართული 6-დან 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა | 180 | 230 | რაოდენობა | 5% | პანდემიის გამო დაბალი მომართვიანობა |
| | რაგბისტთა სპორტული კლუბში ჩართული 6-დან 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა | 175 (მათ შორის შორის 3% გოგო) | 180 (მათ შორის 4% გოგო) | რაოდენობა | 5% | პანდემიის გამო დაბალი მომართვიანობა |
| | რაგბის ტურნირებზე დაკავებული საპრიზო ადგილები | IV | I-III | საპრიზო ადგილები | 50% | პანდემიის გამო ტურნირების ჩაშლა |

## *კულტურის განვითარების ხელშეწყობა 05 02*

პროგრამის აღწერა:

ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა.კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების,იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების,საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.

კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/გაცვლითი პროგრამები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები)

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პრომოუშენი. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.)

საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება.

პროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

შექმნილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტევები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;
მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| შექმნილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტევები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა | ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 16 | 50 | 55 | 55 | 60 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების მონაწილეთა საერთო რაოდენობა | 280 | 350 | 500 | 550 | 600 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალებისა და ღონისძიებების რაოდენობა | 3 | 7 | 8 | 8 | 8 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | კულტურული და სახელოვნებო სკოლების 18 წლამდე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (ბიჭი/გოგო) | ბიჭი-415 გოგო-626 | ბიჭი-430 გოგო-635 | ბიჭი-450 გოგო-635 | ბიჭი-500 გოგო-635 | ბიჭი-550 გოგო-640 | რაოდენობა | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |

## კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა 05 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და

ადგილობრივი ფესტივალების, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრას, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ორგანიზების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში | დაგეგმილი ღონისძიებების რაოდეობა | პანდემიურ სიტუაციაში ჩატარებული ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებელი - 3 | ჩასატარებელი ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 40 | ცალი | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. მეტეოროლოგიური პირობები |
| | ღონისძიებებზე დამსწრეთა სავარაუდო რაოდენობა | პანდემიურ სიტუაციაში,რეგულაციების გათვალისწინებით ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებელი -1000 | ჩასატარებლ ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებელის ზრდა - 20000 | ადამიანი | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. მეტეოროლოგიური პირობები |

## კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 05 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) კულტურული

ტურების განსახორციელებლად ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების დაინტერესება და მათი ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ; ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება | ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ კონტაქტების დამყარების მიზნით გაფორმებული მემორანდუმებისა და ფესტივალების რაოდენობა | პანდემიურ სიტუაციაში ჩატარებული ფესტივალების რაოდენობის მაჩვენებელი - 3 | ჩასატარებელი ფესტივალების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 10 | ცალი | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. |
| | სხვადასხვა ღონისძიებების რაოდენობა | პანდემიურ სიტუაციაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის მაჩვენებელი - 15 | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 40 | ცალი | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. მეტეოროლოგიური პირობები |
| | ღონისძიებებზე დამსწრეთა სავარაუდო რაოდენობა | პანდემიურ სიტუაციაში,რეგულაციების გათვალისწინებით რაოდენობის მაჩვენებელი - 1000 | რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 10000 | ცალი | 5% | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა. მეტეოროლოგიური პირობები |
| | სატელევიზიო სიუჟეტებისა და საიმიჯო რგოლების სავარაუდო რაოდენობა | სატელევიზიო სიუჟეტის რაოდენობის მაჩვენებელი -5 | სატელევიზიო სიუჟეტის რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა -15 | ცალი | 5% | დაგეგმილი ღონისძიების გაუქმება |

## კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 05 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ტრენინგის ჩატარება კულტურის სფეროს მენეჯერებისათვის - კულტურის სფეროს მენეჯმენტი და კულტურის სერვისები, ბ) ტრენინგი კულტურის სფეროს თანამშრომლებისთვის - ღონისძიებების სწორად დაგეგმვა/მართვა, გ) ტრენინგი კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის -პროექტების წერის და მართვის პრინციპები. ფინანსების მოზიდვის მექანიზმები და თავისებურებანი;

სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას; ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშემწყობ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას;

მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ცენტრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საბავშვო, ინკლუზიური განათლების და სხვა პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დამეგობრებული ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება კულტურის სფეროს მართვაში.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარებისა და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | მონაცემთა წყარო | მონაცემთა მოგროვების მეთოდი | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა | კულტურის სფეროს მენეჯერებისათვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა | 2 | 5 | ცალი | 5% | ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია | შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი | ღონისძიების გაუქმება |
| | სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა გადამზადებისთვის ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 1 | 3 | ცალი | 5% | ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია | შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი | ღონისძიების გაუქმება |
| | მუზეუმში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა | 3 | 5 | ცალი | 5% | ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია | შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი | ღონისძიების გაუქმება |
| | დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან(როგორც ქვეყნის შიდნით,ასევე ქვეყნის გარეთ) მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 0 | 3 | ცალი | 5% | ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია | შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი | ღონისძიების გაუქმება |

## კულტურის ობიექტების დაფინანსება 05 02 04

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა | ქალაქ ოზურგეთი და დაბა ურეკი | 7 | 7 | წრეების რაოდენობა | 0% | პანდემია |
| | სახელოვნებო წრეების რაოდებობა | 21 | 22 | წრეების რაოდენობა | 5% | პანდემია |
| | სახელოვნებო წრეების ბენეფიციართა (6-18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდები) საერთო რაოდენობა | ბიჭი-330 გოგო-389 | ბიჭი-400 გოგო-450 | 1 | 5% | პანდემია |
| | ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მათ შორის ახალი წიგნების წილი) | 180000 მათ შორის ახალი წიგნები 7000 | 180000 მათ შორის ახალი წიგნები 90000 | ცალი | 5% | პანდემია |
| | დადგმული სპექტაკლების რაოდენობა | 8 | 10 | სპექტაკლების რაოდენობა | 5% | პანდემია |

## *ახალგაზრდული პროგრამები 05 03*

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში | ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | რაოდენობა | 10% | პანდემია |
| | პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა | 45 | 75 | 80 | 100 | 120 | რაოდენობა | 10% | პანდემია |
| | ახალგაზრდების ჩართულობით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა | 20 | 50 | 70 | 80 | 100 | რაოდენობა | 10% | პანდემია |

## „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ახალგაზრდული პროექტები 05 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით, ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით, „თვითმმართველობა განათლებისათვის“ და „ახალგაზრდების თვითგამოხატვის უფლების მხარდაჭერა თვითმმართველობაში“ პროგრამის ფარგლებში, კონკურსი გამოცხადდა. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი ბიუჯეტი, რომელიც თანაბრად გადანაწილდება სამი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით: I ასაკობრივი ჯგუფი – 12-16 წელი; II ასაკობრივი ჯგუფი – 17-22 წელი; III ასაკობრივი ჯგუფი – 23-29 წ. ქვეპროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 12-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების/პროექტების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება, რომლის შდეგად მოხდება თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვა და მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თვითმმართველობის საკითხებზე.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგარდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;
მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობილია ახალგარდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში | პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა | 45 | 75 | რაოდენობა | 10 | ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეროლოგიური პრობლემები |
| | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 5 | 19 | რაოდენობა | 10 | სხვა გაუთვალისწინებელი გარემოება |

## ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა 05 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების დაჯილდოება (პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები). ინტელექტუალური შეჯიბრებები. ახალგაზრდების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;
მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 5 | 10 | ღონისძიება | 10% | პანდემია |
| | დაჯილდოებული ახალგაზრდების რაოდენობა | 0 | 11 | ახალგაზრდების რაოდენობა | 10% | პანდემია |

ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა 05 03 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ).ბულინგის, ოჯახური ძალადობის, გ).პროფესიული განათლების მიღების, დ). კარიერის განვითარების სერვისის დანერგვისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით და საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. დაგეგმილია ახალგაზრდობის კულტურულ-შემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მხარდაჭერილია ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მათი მოხალისეობრივი საქმიანობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მხარდაჭერილია ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მათი მოხალისეობრივი საქმიანობა | ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა | 2 | 10 | ღონისძიება | 10 | პანდემია |
| | ცნობიერების ამაღლების პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა | (მათ შორის ქალი 60%, 40%კაცი) | (მათ შორის ქალი60%, 40%კაცი) | ახალგაზრდა | 10 | პანდემია |
| | ახალგაზრდების მიერ ჩატარებული მოხალისეობრივი ღონისძიებების რაოდენობა | 2 | 10 | ღონისძიება | 10 | პანდემია |
| | მოხალისეობრივი ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა | 20 | 50 | ახალგაზრდა | 10 | პანდემია |

*რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 05 04*

პროგრამის აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება | რეაბილიტაციის ღონისძიებების რაოდენობა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | ღონისძიება | 2% | პანდემია |
| | რელიგიური ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულება | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | ხელშეკრულება | 50% | პანდემია |

## რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა 05 04 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა მათ შორის კომუნალური მომსახურებისათვის საჭირო თანხების ანაზღაურება.

ქვეპროგრამის მიზანი:

რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური ხარჯების ანაზღაურებისთვის.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები | დაფინანსებული რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობა | 1 | 1 | რაოდენობა | 0 | პანდემია |

## ეკლესია-მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 05 04 02

ქვეპროგრამის აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მინიმუმ 2 ობიექტის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ხელშეწყობილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელებული სამუშაოების რაოდენობა | 2 | 2 | რაოდენობა | 0% | პანდემია |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების კუთხით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები* | | | | | |
| *პრიორიტეტის დასახელება* | | *მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა* | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | 876 000 | 890 000 | 913 000 | 940 000 |
| 06 01 01 | ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 173 000 | 180 000 | 180 000 | 190 000 |
| 06 01 02 | მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება | 246 000 | 250 000 | 250 000 | 260 000 |
| 06 01 03 | თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება | 55 000 | 55 000 | 60 000 | 60 000 |
| 06 01 04 | ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება | 260 000 | 260 000 | 277 000 | 280 000 |
| 06 01 05 | გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება | 90 000 | 90 000 | 90 000 | 90 000 |
| 06 01 06 | ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება | 52 000 | 55 000 | 56 000 | 60 000 |
| 06 02 | სოციალური მხარდაჭერის პროგრამა | 984 000 | 986 000 | 1 022 000 | 1 054 000 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 60 000 | 66 000 | 70 000 | 70 000 |
| 06 02 02 | დღის ცენტრის დაფინანსება | 45 000 | 45 000 | 45 000 | 45 000 |
| 06 02 03 | დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება | 15 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება | 215 000 | 215 000 | 225 000 | 230 000 |
| 06 02 05 | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება | 14 000 | 14 000 | 14 000 | 14 000 |
| 06 02 06 | სარიტუალო მომსახურების დაფინანსება | 65 000 | 65 000 | 65 000 | 65 000 |
| 06 02 07 | ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა | 11 000 | 20 000 | 20 000 | 20 000 |
| 06 02 08 | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება | 270 000 | 270 000 | 280 000 | 290 000 |
| 06 02 09 | მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 165 000 | 170 000 | 175 000 | 185 000 |
| 06 02 10 | სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება | 24 000 | 15 000 | 18 000 | 20 000 |
| 06 02 11 | სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება | 70 000 | 70 000 | 70 000 | 70 000 |
| 06 02 12 | ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა | 10 000 | 16 000 | 20 000 | 25 000 |
| 06 02 13 | სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება | 20 000 | | | |
| სულ პრიორიტეტის დაფინანსება | | 1 860 000 | 1 876 000 | 1 935 000 | 1 994 000 |

## *ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 06 01*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე | ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (ქალი, კაცი) | 50%/50% | 50%/50% | 50%/50% | 50%/50% | 50%/50% | რაოდენობა | 10% | პანდემია, საგანგებო მდგომარეობა |
| | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების რაოდენობა | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | რაოდენობა | 10% | პანდემია, საგანგებო მდგომარეობა |

### ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 06 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ახალი ვირუსის COVID-19 -ის ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| შუალედური შედეგი | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა | ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება | 55 | 65 | % | 5% | ფორსმაჟორი |
| შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი | სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი | 80 | 85 | % | 5% | ფორსმაჟორი |

## მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება 06 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ა) 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანი ქალბატონები.

უფლება აქვთ მიიღონ ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში ერთხელ პირად ანგარიშზე ჩარიცხვით ან უნაღდო ანგარიშსწორებას მედიკამენტებზე

ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით (მათი არჩევანით), უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს ბენეფიციარის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ბ) 1. ოზურგეთის მუიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს.

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდე).

უფლება აქვთ მიიღონ სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა უნაღდო ანგარიშსწორებით, კერძოდ:

ბ.ა) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% ნაკლებია ან ტოლი 150 ლარის, დაფინანსება მოხდება სრულად;

ბ.ბ) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მეტია 150 ლარზე, მაშინ დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი;

ბ.გ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანაგადახდა (საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო კომპანია), ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 1150 (მათ შორის, ქალი 60%, კაცი 40%) | 1150 (მათ შორის, ქალი 60%, კაცი 40%) | რაოდენობა | 10% | სერვისების არსებობაზე ინფორმაციის ნაკლებობა |

## თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება 06 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჭიროებენ დიალიზის კურსის ჩატარებას, უფლება აქვთ ისარგებლონ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით 300 ლარის ოდენობით, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები დახმარება იღებენ ტრანსპორტირებისათვის. დიალიზის პროგრამა ხორციელდება ქ. ოზურგეთში, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ადგილზე არ ხდება ბენეფიციარის მომსახურება და უწევთ სხვა ქალაქში ტრანსპორტირება ( ბათუმი, თბილისი).

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 50 (მათ შორის, ქალი 15, კაცი 35) | 50 (მათ შორის, ქალი 15, კაცი 35) | რაოდენობა | 10% | მისამართის ცვლილება |

## ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება 06 01 04

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის მიზანი:

პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% არ აღემატება 200 ლარს, ანაზღაურება მოხდება მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მეტია 200 ლარზე, შემთხვევის დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 600 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი. ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე, იგივე მოქალაქის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, მხოლოდ დაფინანსების ზედა ზღვარი იქნება 300 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი.

გ) იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს თანაგადახდა, ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, პირველ ჯერზე დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 600 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი, ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე იგივე მოქალაქის დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, ოღონდ ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი იქნება 300 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი.

დ) დაფინანსებას ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ (მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები), ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებენ დახმარებას უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებებში, ინვოისით წარმოდგენილი თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 200 ლარისა;

ე) აღნიშნული მუხლით, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას დაფინანსებაზე გარკვეული ნოზოლოგიების დროს (ზედაპირული მცირე ზომის კეთილთვისებიანი სიმსივნეების გეგმიურად თანადაფინანსებაზე), რაც ნეგატიურად არ აისახება ბენეფიციარის ჯანმრთელობაზე.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| უზრუნველყოფილია ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 1000 (მათ შორის, ქალი 55%, კაცი 45%) | 1000 (მათ შორის, ქალი 55 %, კაცი 45%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე |

## გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 06 01 05

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი:

გადაუდებელი მდგომარეობების დროს (სამედიცინო თანადაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში), ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხის 50%, არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე, არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით, ინვოისით წამოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 500 ლარისა; გამონაკლის შემთხვევაში – ფინანსური დახმარება ტრანსპორტირებისათვის, მათ შორის, ქვეყნის გარეთ, მაქსიმალური ოდენობით 500 ლარი (გარდა იშვიათი გამონაკლისისა).

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 180 (მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%) | 180 (მათ შორის ქალი 50%, კაცი 50%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე |

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება 06 01 06

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა ძვირადღირებულ კვლევების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 200 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია).

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 50 % არაუმეტეს 500 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია).

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 85 % არაუმეტეს 170 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე - ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა. სოციალურად დაუცველ ქალბატონებს, შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებს (18 წლამდე ოთხი და მეტი შვილი), ვეტერანებს და ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს (ერთჯერადად) აღნიშნული კვლევა დაუფინანსდებათ სრულად (170 ლარის ფარგლებში). ასევე გამონაკლის შემთხვევებში სხვა ძვირადღირებული კვლევების თანადაფინანსება, ოზურგეთში რეგისტრირებული იმ პირებისა, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0- დან 150001- მდეა (200 ლარამდე კვლევები დაფინანსდება 90%-იანი თანაგადახდით, 200 ლარის ზემოთ ღირებულების კვლევები დაფინანსდება 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა).

5. ბენეფიციარებს, რომელთაც აღნიშნული კვლევები მთლიანად ან ნაწილობრივ უფინანსდებათ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ან რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მიერ, კარგავენ ამ მუხლით სარგებლობის უფლებას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის ძვირადღირებული კვლევების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის ძვირადღირებული კვლევების ჩატარება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 260 (მათ შორის, ქალი 50 %, კაცი 50%) | 260 (მათ შორის, ქალი 50%, კაცი 50%) | რაოდენობა | 10% | პროგრამის არსებობაზე ინფორმაციის ნაკლებობა |

## *სოციალური მხარდაჭერის პროგრამა 06 02*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 12 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით

უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით | სოციალური პროგრამები და სერვისები | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | რაოდენობა | 10% | ეპიდემია, პანდემია |
| | სოციალური პროგრამების ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (მათ შორის, ქალებისა და კაცების წილი) | (მათ შორის ქალი 50 %, კაცი50%) | (მათ შორის ქალი 50 %, კაცი50%) | (მათ შორის ქალი 50%, კაცი50%) | (მათ შორის ქალი 50 %, კაცი50%) | (მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%) | რაოდენობა | 10% | ეპიდემია, პანდემია |

## სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 1 იანვრისთვის რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 100000-დან და 150 001-მდე, ყოველთვიურად დახმარება გაეწევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით წერილობითი მომართვიანობის საფუძველზე. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება და ხდება ჩანაცვლება მომლოდინეთა სიიდან. ყოველწლიურად მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარებების გაცემა ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. დახმარება გაიცემა განცხადების შეტანის რიგითობის მიხედვით. სახელმწიფო სოციალური პროგრამით უზრუნველყოფილი არიან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, ეს პროგრამა ვრცელდება მხოლოდ 0-დან 100000 სარეიტინგო ქულამდე. შესაბამისად,

მუნიციპალიტეტში შექმნილი მძიმე სიოციალური ფონი გათვალისწინებით მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე.

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით | სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა | 40 | 40 | ოჯახი | 10% | მრავალშვილიანი ოჯახი, რომლის წევრიც 2022 წელს სრულწლოვანი გახდება, დახმარებას აღარ მიიღებს, ხოლო თუ იმ დროისთვის 4-შვილიანი ოჯახი სხვა არ იქნება, შემცირდება ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა |

## სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ კომუნალური ხარჯების დაფარვაში დახმარება.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მომავლის სხივის“

დაფინანსება ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ერთ ბენეფიციარზე გათვლილი გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

სოციალური საცხოვრისის (ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლი) მობინადრეთა მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურება, წარმოდგენილი მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე, თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებელთან, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

ქვეპროგრამის მიზანი:

დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შექმნილია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შექმნილია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები | ბენეფიციარების რაოდენობა | 25 (მათ შორის, ქალი 30%, კაცი70%) | 25 (მათ შორის, ქალი 30%, კაცი70%) | რაოდენობა | 10 | მისამართის ცვლილება |

## დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება 06 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა გულისხმობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარებას. ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ) მატერიალურ დახმარებას, თითოეულ ჯერზე 400 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 9 | 9 | რაოდენობა | | მისამართის ცვლილება |

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება 06 02 04

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა გულისხმობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარებას. ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ) მატერიალურ დახმარებას, თითოეულ ჯერზე 400 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წელს გადაცილებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დაფინანსებას (თვის განმავლობაში არაუმეტეს 25 ბენეფიციარისა), რომლებიც სარგებლობენ საქველომოქმედო ასოციაცია „გურიას“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის“ მომსახურებით. კერძოდ:

ა) ბენეფიციართა „დღის ცენტრში“ ტრანსპორტირებას;

ბ) ბენეფიცირთა ყოველდღიურ მომსახურებას კვებით;

გ) ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

დ) ბენეფიციართა სანიტარიულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას;

ე) ზაფხულის სეზონზე ბენეფიციარებისათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას.

2. დღის ცენტრი (საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“), არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა ერთ ბენეფიციარზე, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (I ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები და მხედველობით შშმ ბავშვები), უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფულადი დახმარებით 250 ლარის ოდენობით;

4. მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით (II ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები, მხედველობით შშმ ბავშვები) .

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (გარდა მხედველობით შშმ პირებისა და მხედველობით შშმ ბავშვებისა), ასევე შშმ ბავშვებს, უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით, 100 ლარის ოდენობით.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისმკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაზლებლობის) სტატუსი, უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით, 120 ლარის ოდენობით (კომუნალური სუბსიდირება), უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება (წლის განმავლობაში არაუმეტეს 50000 ლარი), კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შშმ პირებისათვის სპეციალური ინვენტარის ან დამხმარე საშუალებების შეძენა ან სხვა;

ბ) შშმ პირებს, რომელთა ასაკი 6-დან 18 წლამდეა და რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 200001-მდეა, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ დახმარება (საჭიროების შემთხვევაში) ჰიგიენური საშუალებების (პამპერსი, თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) შესაძენად, უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებაში, (შესაძლებელია განმცხადებელმა ერთდროულად გააკეთოს მთელი წლის მოთხოვნა).

გ) (ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირებისათვის) წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება (ურთიერთშეთანხმებით, თანადაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, დააფინანსოს თანაგადახდის არაუმეტეს 80%);

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებისათვის, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში (ან სხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში (0-18 მდე)) ჩართული ბენეფიციარებისთვის სერვისის მისაღებად ტრანსპორტირების ხარჯების (სრული ან ნაწილობრივი) ანაზღაურებაში ფინანსური (უნაღდო ანგარიშსწორებით) დახმარება (შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დაფინანსებული ტრანსპორტირების შესაბამისი ვიზიტების დამადასტრურებელი დოკუმენტი ბენეფიციარისგან).

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ან სხვა ფსიქოლოგიური აშლილობის) მქონე ბავშვებს (7-18 წლამდე, გამონაკლის შემთხვევაში 0-დან 7 წლამდე), რომლებიც ჩართული არიან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური დახმარება, (საჭიროების შემთხვევაში - ყოველთვიურად წლის განმავლობაში) მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში შემდეგი ოდენობით (შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დაფინანსებული სეანსების შესაბამისი ვიზიტების და თანაგადახდის დამადასტრურებელი დოკუმენტი ბენეფიციარისგან):

ა) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70001-მდეა, მიიღებენ 90%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 360 ლარისა;

ბ) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 70000-დან 150001-მდეა, მიიღებენ 70%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 280 ლარისა;

გ) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 150000-დან 250001-მდეა, მიიღებენ 50%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 200 ლარისა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით | ბენეფიციართა რაოდენობა | 455 (მათ შორის ქალი 45%, კაცი 55%) | 455 (მათ შორის ქალი 45%, კაცი 55%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, პროგრამაზე ინფორმაციის ნაკლებობა |
| | ასოციაცია „გურიის" ბენეფიციარების რაოდენობა | 20 (მათ შორის ქალი 30%, კაცი 70%) | 20 (მათ შორის ქალი 30%, კაცი 70%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, პროგრამაზე ინფორმაციის ნაკლებობა |

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება 06 02 05

ქვეპროგრამის აღწერა:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევას 200 ლარის ოდენობით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ, იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯებისათვის, გარდაცვლილის ოჯახის ფინანსურ დახმარებას 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 65 | 65 | რაოდენობა | 5% | მისამართის ცვლილება |

## სარიტუალო მომსახურების დაფინანსება 06 02 06

ქვეპროგრამის აღწერა:

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებისათვის, გარდაცლვლილის ოჯახის ფინანსურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ გარდაცვლილის ოჯახი სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა, გარდაცვლილის ოჯახს უფლება აქვს სარიტუალო ხარჯების გასაწევად მიიღოს ერთჯერადი დახმარება 250 ლარის ოდენობით, (იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა როცა გარდაცვლილის ოჯახს სარეიტინგო ქულა ახალი შეჩერებული აქვს).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უჭირისუფლო (უპატრონო) მიცვალებულის, რომელიც იდენტიფიცირებულია, მაგრამ შეუძლებელია გარდაცვლილის ნათესავის, კანონიერი წარმომადგენლის ან მემკვიდრეობის მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირის დადგენა, სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ხდება არაუმეტეს 500 ლარისა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში უზრუნველყოფილი მათი სარიტუალო მომსახურების დაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში უზრუნველყოფილი მათი სარიტუალო მომსახურების დაფინანსება | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსების მიმღებთა რაოდენობა | 230 | 230 | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე |

## ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა 06 02 07

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი ) აღსანიშნავად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის თაიგულების შეძენა და ფულად დახმარების გაცემა.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი ) აღსანიშნავად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად მხარდაჭერილი არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად მხარდაჭერილი არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა | 20 (მათ შორის ქალი 60 %, კაცი 40%) | 20 (მათ შორის ქალი 60 %, კაცი 40%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, მისამართის ცვლილება |

## სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება 06 02 08

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს, ეძლევათ საშუალება მიიღონ დახმარება, კერძოდ:

ა) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს (რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 200001-მდეა), საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ეძლევათ საშუალება მიიღონ მატერიალური (გამონაკლის შემთხვევაში ფინანსური) დახმარება საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად;

ბ) თავშესაფრის გარეშე დარჩენილ ოჯახებს ეძლევათ საშუალება მიიღონ დახმარება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაში (სოციალური საცხოვრისი, საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ ან მთლიანად)), ასევე საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივი ან სრული შეძენა;

გ) გამონაკლის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი განიხილავს განსაკუთრებულ მდგომარეობებს (ხანძარი ან სხვა);

დ) გაწეული დახმარების ოდენობა ვარიაბელურია, მაგრამ ერთეულ შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს 10000 ლარს. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების ოდენობას განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფი;

ე) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს, რომელთაც არ აქვთ თავშესაფარი.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი ) აღსანიშნავად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახები სრულად ან ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ქირით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახები სრულად ან ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ქირით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დახმარების მიმღებ ოჯახთა რაოდენობა | 105 | 105 | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე |

## მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 06 02 09

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეჭირვებული მოსახლეობის, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) დახმარების მიზნით ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში 2021 წელს კვებით უზრუნველყოფაზე განცხადებით მომართა 180 -მა ბენეფიციარმა, შესაბამისად ყველა განცხადება დაკმაყოფილებულია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მზრუნველობამოკლებული მოქალაქეები ყოველდღიურად არიან უზრუნველყოფილი ერთჯერადი კვებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| მზრუნველობამოკლებული მოქალაქეები ყოველდღიურად არიან უზრუნველყოფილი ერთჯერადი კვებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბენეფიციართა რაოდენობა | 180 (მათ შორის ქალი 52%, კაცი 48%) | 180 (მათ შორის ქალი 52 %, კაცი 48%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე |

## სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება 06 02 10

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ხანდაზმულთა სახლში ცხოვრობს 52 ბენეფიციარი, აღნიშნული ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მოხდება კომუნალური ხარჯების გადახდა.

ქ. ოზურგეთში, მეცნიერების ქ. №16-ში მდებარე ხანდაზმულთა სახლში მყოფი ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირებას, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) გადასახადების დაფინანსებით უზრუნველყოფის სახით.

კომუნალური მომსახურების (ბუნებრივი აირის, ელექტროენერგია) ხარჯების ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

2. ქვეპროგრამიდან დაფინანსდება შინმოვლის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები, რომელსაც ემსახურება ორგანიზაცია ,,კარიტასი''. პროგრამაში ჩართულია 20 ბენეფიციარი, რომელთაც ბინაზე მისვლით ემსახურება ორგანიზაცია ,,კარიტასი"-ს წარმომადგენლები. პროგრამის ფარგლებში ხდება მათი უზრუნველყოფა სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით და ბინაზე მოვლის მომსახურებით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების გადასახადების დაფინანსების უზრუნველყოფა და შინმოვლის პროგრამის თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების მიწოდება და ხელშეწყობილია შინმოვლის კომპონენტი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების მიწოდება და ხელშეწყობილია შინმოვლის პროგრამა | კომუნალური სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები | 52 | 52 | რაოდენობა | 10% | ფაქტიური ხარჯი |
| | შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარები | 44 (მათ შორის ქალი 77 %, კაცი 23 %) | 44 (მათ შორის ქალი 77%, კაცი 23%) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, მისამართის ცვლილება |

## სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება 06 02 11

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70001-მდეა, ბავშვის დაბადების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გამოუყოფს 1200 ლარს (ყოველთვიურად 100 ლარი) 1 წლის განმავლობაში ბავშვის მოვლის საჭირო სხვადასხვა საშუალებების შესაძენად. მოსარგებლეს ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნული საქონელი გაიტანოს ფარმაცევტული დაწესებულებიდან.

შენიშვნა: დახმარების გაწევა დაიწყება საბუთების წარმოდგენის თვიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვის ასაკი მიაღწევს 1 წელს.

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| სოციალურად დაუცველი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო ფინანსური დახმარებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა | 70 | 70 | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, მისამართის ცვლილება |

## ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა 06 02 12

ქვეპროგრამის აღწერა:

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება; კერძოდ, 3.2. მიზანის მიხედვით,

დაგეგმილია და გატარებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები. ხოლო ამოცანა 3.2.3. კი ითვალისწინებს, რომ შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/ სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაუწიოს ერთჯერადი დახმარება ფულადი ფორმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა | 20 (მათ შორის ქალი 100 %) | 20 (მათ შორის ქალი 100 %) | რაოდენობა | 10% | მომართვიანობის სიმცირე, მისამართის ცვლილება |

## სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება 06 02 13

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა განხორციელდება თანადაფინანსების სახით, წარმოდგენილი პროექტის საერთო ღირებულების არა უმეტეს 30%-ის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო (მაგალითად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ბიბლიოთეკა, სკოლა და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო ორგანიზაცია / ცენტრი, სოციალური საწარმო და სხვ.) (შემდგომში - „ორგანიზაცია“), რომელიც, საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით, მოახდენს წილობრივ დაფინანსებას და, პროექტის განხორციელებით, ხელს შეუწყობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. წარმოდგენილი პროექტები შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ, ამ კომისიის დებულების შესაბამისად; კომისიის შემადგენლობასა და დებულებას ბრძანებით ამტკიცებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. თანადაფინანსების გაცემა განხორციელდება

ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტს შორის შესაბამისი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ანაზღაურება მოხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მაგალითად: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, შესაბამისი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) წარმოდგენის შემთხვევაში. გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების განყოფილების მიერ ორგანიზაციიდან წარმოდგენილი განცხადების და პროექტის ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და მოწონების საფუძველზე, გასცეს ადმინისტრაციული დაპირება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების განხორციელების შესახებ.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარჩენალდაკარგული პირები, მარტოხელა მშობლები, ახალგაზრდები, მარტოხელა ხანდაზმული პირები, ოჯახური პირობების გამო, დიდი ხნის მანძილზე დაუსაქმებელი დიასახლისები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები და ა. შ.) ჩართულობას სოციალური მიზნების მქონე სხვადასხვა პროექტებში, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალური საწარმოების სექტორის განვითარების ხელშეწყობის გზით სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური გაძლიერება.

პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა და მათი ადაპტაცია არსებულ გარემოში;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| სოციალური საწარმოების სექტორის განვითარების ხელშეწყობის გზით სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური გაძლიერება. პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა და მათი ადაპტაცია არსებულ გარემოში; | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დახმარების მიმღებ საწარმოთა რაოდენობა | 0 | 5 | რაოდენობა | 20% | მომართვიანობის სიმცირე, პანდემია |

## ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა 07 00

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორცილდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენა, ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მომავალში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასა და ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებასა და კეთილდღეობის ამაღლებას.

| *პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *პრიორიტეტის დასახელება* | | *ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა* | | | |
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| 07 01 | ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება | 280 000 | 289 000 | 297 000 | 307 000 |
| 07 01 01 | მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა | 20 000 | 20 000 | 22 000 | 22 000 |
| 07 01 02 | ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (მონაცემთა ბაზის შექმნა) | 150 000 | 150 000 | 150 000 | 150 000 |
| 07 01 03 | მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა | 20 000 | 29 000 | 35 000 | 45 000 |
| 07 01 04 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 40 000 | 40 000 | 40 000 | 40 000 |
| 07 01 05 | სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა | 50 000 | 50 000 | 50 000 | 50 000 |
| სულ პრიორიტეტის დაფინანსება | | **280 000** | **289 000** | **297 000** | **307 000** |

## *ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება 07 01*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალური ქონების მართვის ეფექტურობისათვის დაგეგმილია ელექტრონული ბაზის მომზადება, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების შესახებ, ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიონ საჭირო ქონება ბიზნესის განვითარებისათვის, შესაბამისი განყოფილების მიერ ჩატარდება ელ. აუქციონი; სოფლის მეურნეობის განყოფილების მიერ დაგეგმილია ადგილობრივი წარმოების გაზრდის და პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის მნიშვნელოვანია ქალი მეწარმეების მხარდაჭერა; ტურიზმის განყოფილებას დაგეგმილი აქვს ადგილობრივი ტურისტული

ლოკაციების პოპულარიზაციისათვის საჭირო აქტივობები, ჩატარდება ტურისტული ფესტივალი; ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმისათვის საჭირო საბაზისო მონაცემებზე მუშაობა დასრულდება 2022 წელს და მომზადდება გეგმის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია;

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებობების განვითარება და ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები და შექმნილია ხელსაყრელი გარემო ადგილობრივი მეწარმეებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;
მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

| საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
| გაზრდილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები და შექმნილია ხელსაყრელი გარემო ადგილობრივი მეწარმეებისთვის | ხელშეწყობილი ბიზნესების რაოდენობა (სად. ნაკვეთი, ინფო და პრეს ტური, მაგნიტური ქვიშის კვლევა, სასწავლო პროგრამები) | 10 | 18 | 22 | 25 | 30 | რაოდენობა | 10% | პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები |
| | ჩატარებული ბიზნეს-ფორუმების რაოდენობა(ქალთა ფორუმი, აგრო და ტურისტული გამოფენა, საინვესტიციო ფორუმი) | 2 | 5 | 5 | 5 | 5 | რაოდენობა | 10% | პანდემია, საგანგებო მდგომარეობა |

## მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა 07 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

წლის განმავლობაში განყოფილება კანონის შესაბამისად ახდენს საპრივატიზაციო ნუსხის და გეგმის მომზადებას და წარდგენას საკრებულოს წინაშე. დამტკიცებული ნუსხის მიხედვით ხდება ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რის შემდეგაც ხდება ელექტრონული აუქციონის გამოცხადება.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა და ამ მიზნით ელექტრონული აუქციონის ორგანიზება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა | ქონების მართვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (ელ. აუქციონის გამოცხადება) | 10 | 20 | რაოდენობა | 10% | პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები-დაბალი რისკი |

## ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება 07 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, სკვერებების ტროტუარების, შენობა-ნაგებობების, სასაფლაოების, სტადიონების, ახალი აზომვითი ნახაზების მომზადებისთვის სამუშაოების ადგილზე განხორციელება (ადგილზე წერტილების აღება, კვალების მონიშვნა. შენობა ნაგებობის შიდა აზომვა და ა.შ).

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემების მომზადება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მომზადებულია გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მომზადებულია გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემები | მომზადებული დოკუმენტის რაოდენობა | 0 | 1 | რაოდენობა | 0 | ფორსმაჟორი |

## მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა 07 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ჩაის მწარმოებელთა ფესტივალი ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას და გაყიდვების მოცულობის ზრდას; ქალთა ეკონომიკური ფორუმის ჩატარება მნიშვნელოვნად გაზრდის ქალების ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში. ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი უკვე 2-ჯერ ჩატარდა ოზურგეთში. ფესტივალებსა და გამოფებეში მონაწილეობა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის კარგი საშუალებაა ახალი კონტაქტების დამყარებისათვის, პროდუქციის პოპულარიზაციისათვის, მუნიციპალიტეტი კერძო სექტორის წარმომადგენლებს მხარს დაუჭერს მათ მონაწილეობას სხვადასხვა რეგიონეში გამოფენებში მონაწილეობისათვის.

ქვეპროგრამის მიზანი:

ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, ქალი მეწარმეების წახალისება მათთვის საჭირო აქტივობების შეთავაზებით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მხარდაჭერილი არიან ადგილობრივი მეწარმეები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მხარდაჭერილი არიან ადგილობრივი მეწარმეები | ქალი მეწარმეების რაოდენობა, რომლებიც ფორუმებში მონაწილეობენ | 0 | 30 | რაოდენობა | 5% | პანდემია |
| | მეწარმეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა | 0 | 5 | რაოდენობა | 5% | პანდემია |
| | სასწავლო პროგრამებში ჩართული მეწარმეების რაოდენობა | 0 | 60 (მათ შორის ქალი%) | რაოდენობა | 5% | დაბალი ინტერესი |

## ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 07 01 04

ქვეპროგრამის აღწერა:

გურიის, როგორც ტურისტული რეგიონის პოპულარიზაციისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილებამ შეიმუშავა მუნიციპალური ტურისტული პროექტები: „ჩაის გზა“, „ჩხავერის ისტორია“, „ფოლკლორული ტური“ .ამ პროექტებში 2020 წლისთვის მონაწილეობდა („ჩაის გზა“-4 ლოკაცია, „ჩხავერის ისტორია“-5ლოკაცია)7 საოჯახო მეურნეობა და 2 ჩაის გადამამუშავებელი საწარმო. 2021 წლისთვის „ჩაის გზას“ დაემატა ლანა ჟრენტის ჩაის გადამამუშავებელი მცირე საწარმო, ჩაის პლანტაციებით, ტურისტებისთვის განკუთვნილი დასასვენებელი და ჩაის სადეგუსტაციო სივრცით.

2022 წლისთვის იგეგმება მთლიანად პროექტის და პროექტის ახალი ლოკაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. გაგრძელდება ტურისტული ლოკაციების წარმომაგენლების უნარ-ჩვევების, მომსახურების სფეროს განვითარებისთვის ტრენინგ-კურსების გამართვა.

ტურისტულ პროექტებში ჩართული („ჩაის გზა“-2, „ჩხავერის ისტორია“-2) არიან ქალბატონები,რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობით და ტურისტული ლოკაციების მრავალფეროვნებით, კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის განვითარების კარგი მაგალითია ჩვენი ტურისტული პროექტები, მიუხედავად პანდემიისა და ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა ,2020-2021 მხოლოდ მუნიციპალურ ტურისტულ პროექტების ლოკაციებზე იყო 4953 შიდა და უცხოელი ტურისტი, იგეგმება ურეკისა და შეკვეთილის მაგნიტური ქვიშის კვლევა კვალიფიციური სპეციალისტების მიერ,რაც გაზრდის კურორტების ცნობადობას მოიზიდავს მეტ ტურისტსა და დამსვენებელს.

2022 წლისთვის იგეგმება ინფოტურებისა და პრესტურების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს სხვა რეგიონებიდან მოწვეული ტურისტული კომპანიებისთვის, პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტებისთვის მეტი ინფორმაციის მიღებას ოზურგეთის ტურისტული ადგილების შესახებ. ტურიზმის გამოფენებში (ბათუმსა და თბილისში) მონაწილეობა მნიშვნელოვანია იმ

თვალსაზრისით, რომ ორივე გამოფენა საერთაშორისოა და ბევრი ტურისტული კომპანია სტუმრობს საზღვარგარეთიდან, შესაძლებლობა გვეძლევა, რომ მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ დაინტერესებულ უცხოურ ტურისტულ კომპანიებს ჩვენი ტურისტული ლოკაციების და პოტენციალის შესახებ.

ყოველწლიური, უკვე პოპულარული აგრო-ტურისტული ფესტივალი „ჩაის გზა“ ჩატარდება 2022 წელსაც, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 50-მდე მეწარმე და ოთხი ტურისტული ლოკაცია, სტუმრად მოსულმა ტურისტმა და ურეკი-შეკვეთილის დამსვენებელმა მიიღო ინფორმაცია ჩვენი ტურისტული პროექტებისა და ლოკაციების შესახებ,მეწარმეებმა თავიანთი პროდუქციის გამოფენა -დეგუსტაცია გაყიდვის დროს მიიღეს ეკონომიური სარგებელი, მათი პროდუქციის ცნობადობა და მოთხოვნა გაიზარდა. ყოველწლიურად ტარდება ველოტური,რაც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანმრთელი წესის პოპულარიზაციას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ოზურგეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაციის ღონისძიებების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზრუნველყოფილია ოზურგეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაციის ღონისძიებების ჩატარება | ჩატარებული საინფორმაციო კამპანების რაოდენობა | 5 | 9 | რაოდენობა | 5% | პანდემია / ფორს-მაჟორული სიტუაციები |
| | ჩატარებული ფესტივალებისა და გამოფენების რაოდენობა | 3 | 4 | რაოდენობა | 5% | პანდემია / ფორს-მაჟორული სიტუაციები |

## სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა 07 01 05

ქვეპროგრამის აღწერა:

მიზნის მისაღწევად ქვეპროგრამა ითვალისწინებს ისეთ ღონიძიებებს, როგორიცაა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, ადგილობრივი მწარმოებლებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. მუნიციპალიტეტის ჩაის სანერგეში მოვლა-მოყვანის სამუშაოების გაგრძელება და დამატებით კივის ნერგების გამოყვანა, შემდგომში ფერმერულ მეურნეობებში გაშენების მიზნით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ადგილობრივი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების ეფექტური გამოყენებით მოსახლეობამ შეძლოს დამატებითი შემოსავლების მიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციით; მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო მხარდაჭერა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

| | ინდიკატორის დასახელება | 2021 წელი (საბაზისო მაჩვენებელი) | 2022 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი) | ზომის ერთეული | ცდომილების ალბათობა (%) | რისკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება | ბენეფიციართა რაოდენობა, მცირე და საშუალო ბიზნესის, ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები | 70 | 150 | რაოდენობა | 10% | პანდემია |
| | ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა | 5 | 6 | რაოდენობა | 5% | პანდემია / ფორს-მაჟორული სიტუაციები |

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებას.

| | | | | ათასი ლარი | |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი/პროგრამა | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| **01 00** | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **6 194,0** | **5 980,0** | **6 165,0** | **6 355,0** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 5 604,0 | 5 420,0 | 5 595,0 | 5 780,0 |
| 01 01 01 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (010101) | 1 376,6 | 1 360,0 | 1 400,0 | 1 500,0 |
| 01 01 02 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია (020102) | 4 072,4 | 3 900,0 | 4 030,0 | 4 100,0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური (020103) | 155,0 | 160,0 | 165,0 | 180,0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 590,0 | 560,0 | 570,0 | 575,0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი (010201) | 350,0 | 350,0 | 350,0 | 350,0 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა (010202) | 30,0 | | | |
| 01 02 03 | მგფ-ის და სხვა  დავალიანებების დაფარვა (010203) | 210,0 | 210,0 | 220,0 | 225,0 |